| 2.2.2.2 | **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას** | **უცხო ენა**<br><br>**რჩევა: სასურველია:** ინგლისურენოვანი მხატვრული ლიტერატურის კუთხის (“უცხოენოვანი წიგნების დამხმარე რესურსი«) შესახებ ზეპირად მოწოდებული ინფორმაცია კათედრამ გარდაქმნას არაფორმალურ აქტივობად და/ან საკლუბო სამუშაოს სახით გაწეროს სამოქმედო გეგმაში, სურვილისამებრ. ეს უზრუნველყოფს სკოლაში არსებული დამხმარე რესურსის ვალიდაციას კათედრის მიერ. |

## VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

*გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.*

ექსპერტთა ჯგუფი სრულად იზიარებს სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. წარმოდგენილი 05/06/2026 MES 0 26 0000676279 წერილის და შესაბამისობის გეგმის საფუძველზე, შესაბამისად სკოლამ დადგენილი წესის მიხედვით შესაბამისობის გეგმის საფუძველზე 10.09.2026 ჩათვლით, უზრუნველყოს დასაქმებული კადრების პირადის საქმეების მოწესრიგება კანონის შესაბამისად. 30.06.2026 ჩათვლით, უზრუნველყოს მოწვეული მასწავლებლების სკოლის ბაზაში შესაბამისად ასახვა. 20.12.2026 ჩათვლით, უზრუნველყოს ახალ შენობაში უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის შესახებ დასკვნის მოპოვება და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან, ასევე უზრუნველყოს სკოლის შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. 20.12.2026 ჩათვლით, უზრუნველყოს სკოლის ტერიტორიაზე სველი წერტილების გამართული მუშაობა. 20.12.2026 ჩათვლით, უზრუნველყოს საკადასრო გეგმისა და განახლებული საჯარო რეესტრის ამონაწერი. 20.12.2026 ჩათვლით, უზრუნველყოს დაწესებულების ინფრასტრუქტურის, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეების და მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის 20.12.2026 ჩათვლით, უზრუნველყოს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდება მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით. 20.12.2026 ჩათვლით, უზრუნველყოს ლიფტის გამართულად მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა. 20.12.2026 ჩათვლით, უზრუნველყოს სკოლის ინფრასტრუქტურის

შესაბამისობა, რომელიც მოემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. 20.12.2026 ჩათვლით, უზრუნველყოს სკოლის ინფრასტრუქტურის შესაბამისობა, რომელიც მოემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. 20.12.2026 ჩათვლით, უზრუნველყოს
ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვანი წარმართვისთვის. 20.12.2026 ჩათვლით, უზრუნველყოს
ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. 20.12.2026 ჩათვლით, უზრუნველყოს შიდა და გარე პერიმეტრზე ვიდეო თვალის მონტაჟი.

შესაბამისად შეუსაბამოდან მოიხსნა და მეტწილ შესაბამისობაში გადავიდა ზემოაღნიშნული საკითხები.

## ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

### 1. სკოლის ფილოსოფია

### 1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

#### 1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც სკოლის მისიაა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, სკოლის მისიაა:ორგანიზებული და აკადემიური სასკოლო კულტურის დამკვიდრებით ,სწავლების ეფექტურლი მეთოდების და მიდგომების დანერგვით, მისცეს მოსწავლეებს ხარისხიანი განათლება,უზრუნველყოს პიროვნული, ეროვნული, პატრიოტული, მორალური და ზნეობრივი ღირებულებების მქონე, თავისუფალი ,სამართლიანი მოქალაქის ჩამოყალიბება. შექმნას თანაბარი პირობები მოსწავლეთა უნარების განვითარებისა და რეალიზებისათვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ხედვა სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის ხედვაა : ჩამოყალიბდეს როგორც ძლიერი ინსტიტუტი, რომელსაც ექნება მაღალი ნდობა , რეპუტაცია და ავტორიტეტი, როგორც

ხარისხიანი განათლების მიღების ადგილი და საშუალება. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს** - სკოლა მისიაში წარმოაჩენს საკუთარ თავს, როგორც საზოგადოების უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. აღნიშნულს მოწმობს, რომ სკოლაში არსებობს მრჩეველთა საბჭო, სამეურვეო საბჭო და ა.შ. გარდა ამისა, სკოლა მუშაობს პროექტებზე, რომელიც ასევე ხელს უწყობს სასკოლო კულტურის განვითარებას. სკოლას ყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სკოლის ექიმი , დარაჯი, გამართული სამეთვალყურეო სისტემა, მორიგე მასწავლებლები , კლასის დამრიგებლები , სკოლაში მუდმივად ტარდება შეხვედრები და პრეზენტაციები ძალადობისა და ბულინგის თაობაზე ,სკოლას აქვს ბავშვთა დაცვისა და რეფერირების ეფექტური მექანიზმები , შექმნილია მრჩეველთა საბჭო , მუდმივად ხდება სკოლაში არმყოფი მოსწავლის მოძიება , მშობლის ინფორმირება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**
3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით** - სკოლის დირექტორის მიერ 03.07.2024 წლის დამტკიცებული N63 ბრძანების მიხედვით შექმნილია მისიას, ხედვასა და ღირებულებებზე მომუშავე ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფი აერთიანებს მასწავლებელს, ადმინისტრაციას, მოსწავლესა და მშობელს. შესაბამისად ამ ჯგუფიდან გამომდინარე ჩანს სკოლის საზოგადოების ჩართულობა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ** - სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რასაც მოწმობს 2024-2025 სასწავლო წლის პედაგოგიური საბჭოს N1 ოქმი, რომლის მიხედვითაც სასკოლო სასწავლო გეგმა შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ (სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია სკოლის მისია). გარდა ამისა, სკოლას შემუშავეებული აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. დოკუმენტში გაწერილია ის მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც მოხდება სკოლაში დოკუმენტების გაზიარება. კერძოდ, ელექტრონული ფოსტების, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემის eFlow-ს, საჯარო ღონისძიებების - ინტერაქციული ორმხრივი კომუნიკაციის საშუალებით აუდიტორიასთან,

ბეჭდვითი - მატერიალური მასალებისა და სკოლის Facebook გვერდის საშუალებით ხდება და მოხდება.სკოლის ჰოლში გამოკრულია სკოლის მისია, შინაგანაწესი და სხვადასხვა დოკუმენტაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე ნათლად ჩანს, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი** - სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი როგორც სასკოლო საზოგადოების, ასევე ნებისმიერი სხვა დაინტერესებული პირისთვის. იგი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას (სკოლის საიტზე, სკოლის ჰოლში, საინფორმაციო დაფაზე) ასევე გაზიარებულია სკოლის ვებ გვერდზე და Facebook - ის გვერდზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს** - საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ "ბრძანებით სკოლის სახელწოდებად განსაზღვრულია: სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლა. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N1, 2024 წლის 7 სექტემბერი;
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი.

- სკოლის დირექტორის 2024 წლის 03 ივლისი # 63 ბრძანება „სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარებაზე მომუშავე ჯგუფის დამტკიცების შესახებ;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი #2 . 05.09.2025
- პედსაბჭოს ოქმი #2. 08.09.2025

**შეფასება:**

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

### 1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

***1.* სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს** - სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2026 წლის 13. 02. N-13 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს: სტრაგიული დაგეგმვის პროცესს, სტრატეგიული დაგეგვისა და

განვითარების პროცესში ჩართულ მხარეებს, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებულ ძირითად მიდგომებს, საზოგადოებასთან განვითარების მექანიზმებს, სამუშაო ჯგუფის ფორმირებასა და შემადგენლობას, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას სამოქმედო გეგმაში ცვლილებებს, მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანასა და გაზიარებას, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას. აღნიშნული დოკუმენტაციის ანალიზისას გამოიკვეთა, რომ სკოლის სტრატეგიული განვითარების შემუშავების მეთოდოლოგია განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და პრიორიტეტებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს** - სკოლას დამკიცებული აქვს სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფი (დირექტორის 2024 წლის 03 ივლისს ბრძანება N63 ), გარდა ამისა სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული გეგმა რომელიც შვიდწლიანია (2024-2031 წლები) და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს და სკოლის SWOT ანალიზს. სტრატეგიული გეგმის პროექტში განხილულია სხვადასხვა მიმართულება - სტრატეგიული მიზნები, შესაბამისი ამოცანები და შესრულების პერიოდი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

**3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას** - სკოლის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი (2025-2026 სასწავლო წლის). სამოქმედო გეგმაში გაწერილია ის მიმართულებები, რომლის მიხედვითაც გეგმავს სკოლა მუშაობას ერთი წლის განმავლობაში. მაგალითად, 1. სკოლის დოკუმენტაციის შემუშავება, სკოლის ორგანიზაციული განვითარება. 2. სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება. 3. სკოლის მმართველობაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება. 4. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და სკოლის კომპიუტერიზაცია. 5.სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, განვითარება და აღჭურვა. 6. სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებითა და სწავლების ხელშემწყობი სხვა საშუალებებით. სკოლის ერთწლიანი გეგმა ეფუძნება სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმას და მასში გათვალისწინებულია 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი გეგმის მონიტორინგის და სკოლის თვითშეფასების საკითხები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია** - სკოლის განვითარების ერთწლიან გეგმაში მოცემულია სტრატეგიული მიზნები და ამოცანების შესაბამისი აქტივობები. მაგალითად, სკოლის დოკუმენტაციის შემუშავება, სკოლის ორგანიზაციული განვითარება, ამის შემდეგ მოცემულია კონკრეტული აქტივობების ნუსხვა ამ მიზნის მისაღწევად. მაგალითად, სკოლის დოკუმენტაციის: სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება, შემდეგ განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები და ვადები. თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრული ვადები რეალისტურია, აღნიშნულ დოკუმენტში ნათლად არის წარმოდგენილი გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის 2025-2026 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი #2 05.09.2025
- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის 2024-2031 წ.წ. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა.

**1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს** - სკოლამ ავტორიცაზიის ექსპერტთა ჯგუფს ვიზიტისას წარუდგინა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი.

აღნიშნული დოუმენტი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ 2026 წლის 13 თებერვალს N13 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს: სტრატეგიული დაგეგმვის ქვეპროცესებს; სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართულ მხარეებს; სტრატეგიული დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებულ ძირითად მიდგომებს; გაზიარების მექანიზმებს; სამუშაო ჯგუფის ფორმირებასა და შემადგენლობას; სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას, მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანა და გაზიარება; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება; **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით** - სკოლას სტრატეგიული დაგეგმარების მეთოლოგიაში გათვალისწინებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობა, გეგმების გაზიარება და უკუკავშირის მიღება. ინტერვიუერებისას, სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ სასწავლო წლის ბოლოს ტარდება შემაჯამებელი ღონისძიება, და სკოლა ამ ღონისძიებაზე აკეთებს შესრულებული სამუშაოების რეზუმერიბას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა** - სკოლის ადმინისტრაციის განმარტებიით, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა და ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს. სკოლა ანხორციელებს საანგარიშო შეხვედრების ორგანიზებას, ანგარიშებს წარადგენს პრეზენტაციების სახით სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლისთვის. შეხვედრებს ესწრებიან მოსწავლეები, პედაგოგები და მშობლები. ღონისძიებების ამსახველი ფოტო მასალა ქვეყნდება სკოლის facebook გვერდზე; **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის** - სკოლის დირექტორის, გასული სასწავლო წლის ანგარიში მრავლამხრივია და მოიცავს ძირითად საკითხებს, სწავლა-სწავლების პოლიტიკას და მათ შედეგებს. . ანგარიში შემუშავებულია საგნობრივი კათედრების ანგარიშების ანალიზის საფუძველზე.სკოლა ყოველ წლიურად ანხორციელებს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგს და გამოვლენილ გამოწვევებს ითვალისწინებს მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვის დროს. მაგალითად: ხარისხის განვითარების

ჯგუფის რეკომენდაციის საფუძველზე გეგმავს პედაგოგთა საჭიროებებს და ხელს უწყობს მათ ტრენინგებზე დასწრებას .**ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 03 ივლისი ბრძანება # 63 „სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიულ დაგეგმარებაზე მომუშავე ჯგუფის დამტკიცების შესახებ";
- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 13 თებერვლის ბრძანება #- 13 „სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ";

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება
შეფასება:

**3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**
**3.1. პერსონალის მართვა**
**3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **.სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული** - სკოლამ წარმოადგინა სკოლის სტრუქტურა, ასევე საშტატო განრიგი, რომელიც შემუშავებულია დირექტორის მიერ და შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. .სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები :დირექცია, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო დისციპლინარული კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლას ყავს ექთანი , ბიბლიოთეკარი ,ცეცხლფარეში ,დამლაგებლები ,დარაჯები , უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სპეციალური პედაგოგი ,ბუღალტერი ,დირექტორის მოადგილე , კათედრის თავმჯდომარეები კლასის დამრიგებლები, განსაზღვრულია სხვადასხვა ამოცანებზე პასუხისმგებელი პირები, რომელთა ფუნქცია მოვალეობები განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით ,სკოლის წესდებითა და შინაგანაწესით . ,,ზოგადი განათლების შესახებ’’ საქართველოს კანონის და ,,საჯარო სკოლის წესდების შესახებ’’ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 448 ბრძანების მიხედვით და თანამშრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით, სადაც გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც ნათლად არის აღწერილი სამუშაოს აღწერილობის დოკუმენტის ტიპი, პერსონალის ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას** - თანამშრომლების საქმიანობის აღმწერი ფუნქციები, რომელიც შრომითი ხელშეკრულების ნაწილია და შინაგანაწესის დანართი, განსაზღვრავს თითოეული დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობებს, რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს სტრუქტურული ერთეულების და დასაქმებულების საქმიანობის განხორციელებას**.**

სკოლა ასევე ახდენს უფლება მოვალეობების დელეგირებას, რაც ხელს უწყობს დაკისრებული მოვალეობებისადმი მაღალი პასუხისმგებლობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის საშტატო ნუსხა;
- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში მომუშავე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა ნუსხა;
- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის დისციპლინური კომიტეტის დამტკიცების ოქმი;
- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი,

### 3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად** - სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით აქვს დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტით რეგულირდება პერსონალის მართვის პროცესები. დოკუმენტში ნათლად არის გაწერილი თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. დოკუმენტის მიხედვით, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების პოლიტიკის ამოცანებია: სკოლის ადამიანური რესურსების მართვა. დასაქმებულთა

მუდმივი განვითარება, კვალიფიციური და შესაბამისი კადრების შენარჩუნება, კადრების შერჩევის პროცესის ორგანიზება და მართვა, სამუშაო გარემოსთან ახალი თანამშრომლის ადაპტაცია. წახალისების სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და სხვ. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა** - სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. დოკუმენტში, ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით გაწერილია სხვადასხვა მნიშვნელოვანი პუნქტი. წარმოდგენილია პერსონალის არყოფნის შემთხვევაში მისი ჩანაცვლების მექანიზმები, ასევე სკოლის შინაგანაწესში ნათლად არის გაწერილი საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის საკითხები. სკოლას აქვს პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკა, რათა არ მოხდეს საგაკვეთილო, თუ სასკოლო პროცესის შეფერხება. იგი ითვალისწინებს მოსალოდნელ რისკებს, გათვალისწინებულ თუ გაუთვალისწინებელ ფაქტორებს და ახდენს ფუნქციათა გადანაწილებას, გეგმავს სამომავლო კადრების საჭიროებებს, ითვალისწინებს ანაზღაურებად და ანაზღაურების გარეშე შვებულებას, დეკრეტული შვებულებას , სავადმყოფო ფურცელს და იღებს შესაბამის ზომებს სამუშაო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის

**ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით** - სკოლას აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია სკოლაში ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის გამოცხადების წესი, რომელიც შემუშავებულია „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად. ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ გადამოწმდა ვაკანტური ადგილის დასაკავებლად ჩატარებული კონკურსების დოკუმენტაცია, რომლების სრულად შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს. სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებსა და დირექციის წარმომადგენლებს აქვთ ცნობები ნასამართლეობის შესახებ. ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ . რაც შეეხება ცნობებს „უფლების ჩამორთმევის შესახებ; დასაქმებულ პერსონალს პირად საქმეებში არ აქვთ წარმოდგენილი, ასევე დასაქმებული პერსონალის უმრავლესობას

არ აქვს დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლები. **რეკომენდაცია:** სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით 10.09.2026 ჩათვლით , უზრუნველყოს დასაქმებული კადრების პირადის საქმეების მოწესრიგება კანონის შესაბამისად.**ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება;**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას** - სკოლაში დასაქმებული მასწავლებლები შერჩეულნი არიან „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად. აქედან გამომდინარე მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებული თანამდებობის კვალიფიკაციას. რაც შეეხება სხვა პერსონალის კვალიფიკაციას, სკოლას ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილი აქვს პესონალის კვალიფიაცია, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებსა და კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად დამატებით გაწერილ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეესაბამება;**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს** - სკოლის მართვა თანამონაწილეობრივია. მასში მონაწილეობას იღებს სასკოლო საზოგადოება (დირექცია, ადმინისტრაცია და თანამშრომლები).სკოლის საგნობრივ კათედრებზე მიმდინარეობს საგნობრივი კურიკულუმებისა და შეფასების რუბრიკების შემუშავება. სკოლის ადმინისტრაცია ხელმძღვანელობს სკოლის პერსონალს. სკოლის სტრუქტურული ერთეულები მოსწავლეთა თვითმმართველობა, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო იყენებენ თანამშრომლობით პრინციპს. სტრუქტურული ერთეულები დამოუკიდებლად მოქმედებენ, იღებენ გადაწყვეტილებებს. ორგანიზაციული კულტურის განვითარებას ხელს უწყობს სკოლაში განხორციელებული სხვადასხვა პროექტი. ასევე, პედაგოგიური საბჭოს მუშაობა, სამეურვეო საბჭოს შეხვედრები და სხვა. ასევე სხვადასხვა პროექტით, გუნდებით ჩანს, რომ წახალისებულია სასკოლო კულტურა; **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი** - სკოლის შენაგანაწესის მიხედვით, სკოლას აქვს დადგენილი თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები: მადლობის გამოცხადება, ფულადი პრემია და სხვ. ასევე სკოლას, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილი აქვს თანამშრომლეთა მოტივაცია, რაც გულისხმობს თანამშრომელთა წარმატებული გამოცდილების აღიარებას. ხოლო წარმატებული პრაქტიკის გაზიარების მიზნით

კათედრები წარადგნენ კანდიდატურას, რაც ნიშნავს იმას, რომ კათედრის წევრები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და შემდეგ ხდება მათი წარდგენა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის შრომითი / მომსახურების ხელშეკრულებები;
- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის პერსონალის პირადი საქმეები;
- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 3.2. პერსონალის განვითარება

### 3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები** – სკოლას შექმნილი აქვს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი და დამტკიცებული აქვს შესაბამისი დებულება, სკოლა ხელს უწყობს მასწავლებლებს პროფესიულ განვითარებაში აწვდის ინფორმაციას შესაბამისი ტრენინგებისა და შეხვედრების თაობაზე, აგზავნის მათ პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობ ტრენინგებზე, მათი მოთხოვნის შესაბამისად, აწვდის ინფორმაციას მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს, საჭირო ტრენინგის დასაგეგმად . წარადგენს თანამშრომლებს შესაბამისი სტატუსის მისაღებად.;

**ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად** - სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც ასახულია პერსონალის განვითარების გეგმა. სკოლა ასევე გეგმავს დანერგოს ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო აქტივობები, ტრენინგები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას** - სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ამოცანები. სკოლის პერსონალის გადამზადება ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის ზრდას და სკოლის განვითარებას. ამასთან დაკავშირებით სკოლა მასწავლებლებს აწვდის დროულ ინფორმაციას ხელმისაწვდომი ტრენინგების შესახებ. მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი ტრენინგზე დასწრების დამადასტურებელი დოკუმენტი ცნობის ან სერთიფიკატის სახით. სკოლას ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენეტში გაწერილი აქვს თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება. აღნიშნული პუნქტი არეგულირებს პერსონალის საჭიროებების დადგენას, და შემდეგ წინსვლის ხელშეწყობას. ამასთანავე, 2025 -2026 სასწავლო წლის დასაწყისში სკოლაში კათედრებზე შეიქმნა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების გეგმა გრაფიკი. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ მასწავლებლები პერმანენტულად გადიან ტრენინგებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

*4.* **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან** - სკოლას ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილი აქვს თანამშრომელთა ადაპტაციის პუნქტი - ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია. ამ მიმართულებით გაწერილია ის ზოგადი ნაბიჯები, რომლებსაც დგამს სკოლა ახალი თანამშრომლის მიღებისას. გარდა ამისა სკოლას შემუშავებული აქვს თანამშრომელთა ადაპტაციის წესი. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს სკოლაში ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

*5.* **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები** - სკოლის შინაგანაწესში და ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია თანამშრომლების წახალისების ფორმები. სკოლა მხარს უჭერს თანამშრომელთა პროფესიულ ზრდას, ახდენს მათ აღიარებასა და წარმოჩენას , მათ მიღწევებს ათავსებს სოციალურ ქსელში , სამუშაო შეხვედრაზე საჯარო უხდის მადლობას, შინაგანაწესის შესაბამისად აჯილდოვებს ფულადი პრემიით ან ფასიანი საჩუქრით.. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის თანამშრომელთა ადაპტაციის წესი;
- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.3. პროცესის მართვა

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად**-სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი, შექმნილია შესაბამისი ჯგუფი, ხარისხის მართვის დოკუმენტი ეფუძნება სკოლის მისიასა და ხედვას. მართვა დაგეგმარება ეფუძნება პროცესუალურ ციკლს. სასწავლო წლის ბოლოს სკოლის სტრუქტურული ერთეულები, კათედრები, კლასის დამრიგებლები და პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ ანგარიშებს რომლის საფუძველზეც ხდება, ახალი სასკოლო სასწავლო გეგმის შედგენა, რომელსაც სკოლა შეიმუშავებს პედსაბჭოზე ,ათანხმებს სამეურვეო საბჭოსთან და ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. ასევე ხდება სამოქმედო გეგმის შედგენა რომელშიც გათვალისწინებულია აქტივობები ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით**ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები** – საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის შინაგანაწესში. გაწერილია დირექციისა და

ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში. სკოლის საქმიანობის მმართველობითი პროცესები აღწერილია სკოლის ადმინისტრაციულ და უმაღლესი მმართველობითი რგოლის საქმიანობაში, ხოლო ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებულია და ფუნქციურად აღწერილია სხვა სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობებში.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა** - სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები", აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს მიღებული შედეგის გასაჩივრების ეტაპებსაც. ხოლო თანამშრომელთა მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრება ხორციელდება დისციპლინური კომიტეტისა და სამეურვეო საბჭოს მიერ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები** - სკოლის შინაგანაწესში გაწერილია პერსონალის, მოსწავლისა და მშობლის / კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებები. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, რომლის საქმიანობა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები". **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმნეტი;
- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის გასაჩივრების პროცედურები.
- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის „ჩარჩო რეგულაციის დოკუმენტი მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმების მიმართულებით.

● სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება „მოსწავლეთა ეფლებების დაცვის მექანიზმების მიმართულების დამკიცების შესახებ“.

### 3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები** - სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოლოგია, დოკუმენტში გაწერილია საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმები და ეტაპები; სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართულნი არიან სწავლა-სწავლების პროცესში. უკუკავშირის მიზნით, მათ ეგზავნებათ სსგ დებულებები და სხვა საჭიროების შემთხვევაში საკითხები განიხილება პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, შეხვედრებზე, სადამრიგებლო საათებზე, ელექტრონული ჟურნალის საშუალებით მოსწავლეები და მათი მშობლები იღებენ ინფორმაციას სასწავლო შედეგებისა თუ პრობლემების შესახებ. სკოლას, მასწავლებებსა, დამრიგებლებს აქვთ სოციალურ ქსელში შექმნილი სამიზნე ჯგუფები, რომლებიც ასევე ხელს უწყობს სწრაფ და ეფექტურ უკუკავშრის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა** - დაწესებულების მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა უზრუნველყოფილია ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად, კერძოდ, საგნობრივი კათედრების შემდგენლობაშია ყველა მასწავლებელი, სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაშია მასწავლებელი, მშობელი და მოსწავლე, საბჭო განიხილავს ითანხმებს ან/და ამტკიცებს სკოლის საქმიანობის სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტს. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელსაც აქვს შესაძლებლობა ჩართული იყოს სასკოლო ცხოვრებაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის Facebook გვერდი;
- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები;
- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები;

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1 **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებულია სკოლის შინაგანაწესი, უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები. სკოლაში ვიზიტის დროს სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა ძველ შენობაში. სკოლის შენობის მიმდებარედ, სკოლის ეზოში ( იგივე იურიდიულ მისამართზე და იგივე საკადასტრო კოდით) აშენებულია ახალი შენობა, სადაც მიმდინარეობდა დასკვნითი სამუშაო პროცესები. სკოლის დირექტორის 08/05/2026 MES 9 26 0000551672 წერილის საფუძველზე, რომლითაც მიმართა ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, დაფიქსირებულია პოზიცია, რომ სკოლას სურს ავტორიზაციის მიზნებისთვის შეფასდეს მხოლოდ ახალი მშენებარე შენობა, სადაც სწავლა 2026-2027 სასწავლო წლისთვის უნდა განახლდეს. შესაბამისად **რეკომენდაცია:** სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით 20.12.2026 ჩათვლით , უზრუნველყოს ახალ შენობაში უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის შესახებ დასკვნის მოპოვება და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან, ასევე უზრუნველყოს სკოლის შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. **რჩევა: სკოლამ უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანა. ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება;**

**2.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;**

სკოლის საშტატო ნუსხაში და სკოლის სტრუქტურაში ასახულია სკოლის ექთანი. ვიზიტის პერიოდში სკოლას ჰყავდა ექთანი ,შესყიდული აქვთ მედიკამენტები დადგენილი წესის მიხედვით. **რეკომენდაცია:** სკოლამ ახალ შენობაში უზრუნველყოს 41/ნ ბრძანების მოთხოვნებთან შესაბამისად აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი.. **ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას** - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მცენიერების კულტურისა და სპროტის მინიტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოებას უზრუნველყოფს სკოლის დარაჯი და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. **რეკომენდაცია**: სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით 20.12.2026

ჩათვლით , უზრუნველყოს შიდა და გარე პერიმეტრზე ვიდეო თვალის მონტაჟი . **ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება;**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს** - ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლაში იგრძნობოდა კეთილგანწყობილი და პოზიტიური გარემო, სკოლაში დასაქმებული პირები, ერთობლივად ქმნიან ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს; **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას** - ვიზიტის დროს შენობაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორის გაზომვა შეუძლებელი იყო. **რეკომენდაცია :** სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით 20.12.2026 ჩათვლით , უზრუნველყოს სკოლის ტერიტორიაზე სველი წერტილების გამართული მუშაობა. **ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება;**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას** - სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემთა დაცვას „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონისა და სხვა მოქმედი სპეციალური კანონმდებლობის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. სკოლას ემსახურება რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მხრიდან განსაზღვრული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები** - სკოლის საქმისმწარმოებელთან არის დაცული სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც შენახულია და ხელმისაწვდომია მხოლოდ უფლებამოსილი პირებისათვის. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებგვერდებზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხდება ინფორმაციისა და ფაილების სარეზერვო კოპირება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის** – სკოლა ხელმძღვანელობს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინიტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული სკოლის უსაფრთხოების დაცვის კონტროლის მიზნით, სკოლის დირექტორის ბრძანებით, სხვადასხვა მიმართულებით განსაზღვრულნი არიან პასუხისმგებელი პირები. სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კოორდინატორი სკოლის დირექტორს პერიოდულად აწვდის ინფორმაციას და ხდება მასზე მყისიერი რეაგირება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის ვიზუალური დათვალიერება;
- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის პერსონალური მონაცემებთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები
- სკოლის დირექტორის წერილი 08/05/2026 MES 9 26 0000551672;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

### 3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით** -სკოლას არ გააჩნია განახლებული საჯარო რეესტრის ამონაწერი, რადგან სკოლის ეზოში, იგივე საკადასტრო კოდზე, მიმ დინარეობს ახალი შენობის მშენებლობა, სადაც სკოლის დირექტორის განმარტებით 2026-2027 სასწავლო წელს იგეგმება სკოლის გადასვლა, აღნიშნულს მოწმობს სკოლის დირექტორის წერილი 08/05/2026 MES 9 26 0000551672; შესაბამისად მიმდინარეობს სკოლის შიდა და გარე აზომვითი ნახაზების მოწესრიგება. **რეკომენდაცია:** სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით 20.12.2026 ჩათვლით , უზრუნველყოს საკადასრო გეგმისა და განახლებული საჯარო რეესტრის ;

**ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება;**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის** : იქიდან გამომდინარე, რომ მიმდინარეობს სკოლის შენობის მშენებლობა, აღნიშნულ ინდიკატორთან შესაბამისობა ვერ დგინდება. **რეკომენდაცია:** სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით 20.12.2026 ჩათვლით , უზრუნველყოს დაწესებულების ინფრასტრუქტურის, მათ შორის საერთო

სარგებლობის სივრცეების და მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. **ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება;**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით:** სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. სკოლაში მოქმედებს ბიბლიოთეკის დებულება. დაწესებულებაში დასაქმებულია ბიბლიოთეკარი. სკოლაში დაცულია საბიბლიოთეკო წესით რეგისტრირებული სახელმძღვანელოები, მხატვრული და პროფესიული ლიტერატურა. იქიდან გამომდინარე, რომ მიმდინარეობს სკოლის შენობის მშენებლობა, აღნიშნულ ინდიკატორთან შესაბამისობა ვერ დგინდება. **რეკომენდაცია:** სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით 20.12.2026 ჩათვლით , უზრუნველყოს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდება მის მიერ დადგენილი **ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება;**
4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს** – სკოლაში არის ინკლუზიური გარემო შექმნილი, მათ შორის ადაპტირებული სველი წერტილი, თუმცა სარემონტო სამუშაოების გამო არ არის ლიფტის ფუნქციონირების დამადასტრურებელი დოკუმენტი წარმოდგენილი, **რეკომენდაცია:** სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით 20.12.2026 ჩათვლით , უზრუნველყოს ლიფტის გამართულად მუშაობის დამადასტურებელი . **ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება;**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას** - იქიდან გამომდინარე, რომ მიმდინარეობს სკოლის შენობის მშენებლობა, აღნიშნულ ინდიკატორთან შესაბამისობა ვერ დგინდება. **რეკომენდაცია:** სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით 20.12.2026 ჩათვლით , უზრუნველყოს სკოლის ინფრასტრუქტურის შესაბამისობა, რომელიც მოემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ **ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის მატერიალური ქონების ფლობის დოკუმენტაცია;
- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის ინვენტარიზაციის შედეგები;
- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი

- სკოლის დირექტორის წერილი 08/05/2026 MES 9 26 0000551672;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 3.6. საინფორმაციო რესურსები

### 3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას** -სკოლას აქვს პორტატული კომპიუტერები (ლეპტოპები). სკოლას ჯამში აქვს 19 კომპიუტერი, 39 ლეპტოპი და 6 პროექტორი. ვიზიტის დროს შენობაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორის გაზომვა შეუძლებელი იყო. **რეკომენდაცია:** სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით 20.12.2026 ჩათვლით ,

უზრუნველყოს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვანი წარმართვისთვის. . **ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება;**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად** - ვიზიტის დროს შენობაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორის გაზომვა შეუძლებელი იყო. **რეკომენდაცია:** სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით 20.12.2026 ჩათვლით , უზრუნველყოს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად . **ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის ვიზუალური დათვალიერება;
- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის კოპიუტერების ფლობის დოკუმენტაცია;

## 3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი** - სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი; აღნიშნული წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობისთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. საქმისმწარმოებელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, ის

უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულად მუშაობას; ახორციელებს სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციას; **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა** - სკოლაში, როგორც შიდა, ისე გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის, გამოიყენება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა eflow, Eschool-ის ბაზა და office 365. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში** - ექსპერტების მიერ გადამოწმდა და დადგინდა , რომ ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის eschool სისტემაში სკოლას სრულყოფილად აქვს ასახული მონაცემები, შესაბამისად, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. **რეკომენდაცია** : სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით 30.06.2026 ჩათვლით , უზრუნველყოს მოწვეული მასწავლებლების სკოლის ბაზაში შესაბამისად ასახვა. **ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება;**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან** - სკოლის მიერ გაგზავნილი კორესპონდენციის შემოწმების მიხედვით, დგინდება, რომ დროულად აწვდის ანგარიშებს და ინფორმაციას საგანამანათლებლო საქმიანობის შესახებ შესაბამის უწყებებს. ასევე, სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციებიდან ჩანს, 10 დეკემბრის ანგარიში, რომელიც სკოლის დირექტორმა წარადგინა სამეურვეო საბჭოსთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის მიერ გაგზავნილი კორესპონდენცია;
- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემის შესაბამისი პროფილის დათვალიერება;
- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის საქმის წარმოების ერთიანი წესი;
- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის საქმის წარმოების მეთოდოლოგიური დოკუმნეტი;
- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 10 დეკემბრის ანგარიში.

**3.6.3.** სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით** - სკოლა ავრცელებს მის მიერ განხორციელებული საქმიანობისა და საგნანათლებლო პროგრამების შესახებ უტყუარ ინფორმაციას. Facebook გვერდზე იდება მხოლოდ ადმინისტრაციის მიერ გადამოწმებული და დადასტურებული ინფორმაცია. სკოლას აქვს ვებ-გვერდი, რომელიც იძლევა ინფორმაციას სკოლის შესახებ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**
2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას** - სკოლა ავრცელებს მის მიერ განხორციელებული საქმიანობისა და საგნანათლებლო პროგრამების შესახებ უტყუარ ინფორმაციას. სკოლის ვებ გვერდზე და Facebook გვერდზე იდება მხოლოდ ადმინისტრაციის მიერ გადამოწმებული და დადასტურებული ინფორმაცია, სკოლას განსაზღვრული ყავს ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი.; **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**
3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად** - სკოლის წარმომადგენელთან გასაუბრებით გაირკვა, რომ სკოლა გამოკითხვას ატარებს მოსწავლეებთან, მშობლებთან, თემის წარმომადგენლებთან, შემდეგ აანალიზებს მიღებულ შედეგებს და შემდეგ სამომავლოდ იყენებს მათ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

**4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას** - - სკოლის ვებ-გვერზე განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, რადგან სკოლა სწავლებს ახორციელებს ქართულ ენაზე. აღნიშნული ინფორმაცია განთავსებულია სკოლის სოციალურ Facebook გვერდზეც; **ინდიკატორი შესაბამისია;**

**5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**- სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინდიკატორით მოთხოვნილი ინფორმაცია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის ოფიციალური სოციალური ქსელის Facebook გვერდი;
- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის ვებ-გვერდი - https://skolebi.emis.ge/schools/ - დაბა ადიგენის საჯარო სკოლა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 3.7. ფინანსური რესურსები

### 3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება** – სკოლის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა რელევანტურია დაა შეესაბამება სკოლის ფინანსურ რესურსებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

2. **სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა** - სკოლის წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ფინანსური რესურსების განკარგვის და მონიტორინგის შედეგებს; სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხდება სამეურვეო საბჭოზე, ხოლო მისი გასული წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში ასევე წარედგინება სამეურვეო საბჭოს. სკოლაში შექმნილია ფინანსური მონიტორინგის ჯგუფი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის შესყიდვების გეგმა;
- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის შესყიდვების გეგმის დამტკიცების ბრძანება;
- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის 2026წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლის 2025 წლის და 2026 წლის ბიუჯეტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4. მოსწავლეთა მხარდაჭერა**
**4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა**
**4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების: მოსწავლეების, მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, სკოლის ყველა პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვა. ამ მიზნით:

- სკოლას აქვს შინაგანაწესი;
- სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო;
- სკოლას ჰყავს დისციპლინური კომიტეტი;
- განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი;
- თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი;
- სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა.

შინაგანაწესში განსაზღვრულია მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომელიც რეგულირდება „ზოგადი განათლების შესახებ კანონით“.
სკოლაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად. შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის და მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის მოსწავლეთა უფლებებისა და მოვალეობების, დარღვეული უფლების აღდგენისა და დაცვის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რომლიც, თავის მხრივ, წარმოადგენს მოსწავლეთა უფლების დაცვის გარანტიას. სკოლის თანამშრომლის ან მოსწავლის მიერ მოსწავლის უფლებების დარღვევის შემთხვევაში დაიწყება ადმინისტრაციული წარმოება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად და დარღვევის დადასტურების შემთხვევაში შესაბამის პირს ეკისრება დისციპლინური სახდელი.
სკოლას გააჩნია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, სადაც მკაფიოდ არის მოცემული, რომ სკოლა ვალდებულია დაიცვას პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობა და იმოქმედოს სუბიექტის საუკეტესო ინერესებიდან გამომდინარე და რომ დაუშვებელია მოსწავლის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება მშობლისგან ან მოსწავლისგან წინასწარ მოპოვებული თანხმობის გარეშე, რითიც მოსწავლის უფლებები დაცულია.
მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ძალადობის განხორციელების შემთხვევაში, ან თუ საკითხის შესწავლის შედეგად გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობის/დაგვიანების მიზეზია არასრულწლოვნის სწავლის უფლების შეზღუდვა, სკოლა მოქმედებს „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილების შესაბამისად.
სკოლამ ასევე წარმოადგინა სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის დოკუმენტი, რომელშიც დაწვრილებით არის გაწერილი მოსწავლის შეფასებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების განსაზღვრის

რეგულაციები, მოსწავლე ისარგებლებს ყველა პირობით, რაც დადგენილია კანონით - სირთულეების იდენტიფიცირების, სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების უზრუნველყოფის რეგულაციებით. დამრიგებლები ყოველდღიურად ემსახურებიან სკოლაში უსაფრთხოების სრულ პრევენციას. შემუშავებულია ქცევის წესები. მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ როგორც სასწავლო პროცესში, ასევე სკოლაში გადაწყვეტილებების მიღებაში (მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო და ა.შ) კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია მკაფიოდ განსაზღვრავს სასკოლო ჩართულობასა და თანამონაწილეობას.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

## 2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან, რაც დასტურდება სკოლის ფოიეში, საინფორმაციო დაფაზე განთავსებული შინაგანაწესით. შინაგანაწესის მშობლებისთვის და მოსწავლეებისთვის გაცნობაზე პასუხისმგებელი პირია დამრიგებელი. ის სასწავლო წლის დასაწყისშივე კრებაზე აცნობს მას მშობლებს და მოსწავლეებს, რომლებიც თავის მხრივ ადასტურებენ გაცნობის ფაქტს ხელმოწერით. შესაბამისი ოქმები სადამრიგებლო პორტფოლიოში ინახება.

სკოლას აქვს სოციალური გვერდი, რაც აქტიურია და განთავსებულია სკოლაში მიმდინარე აქტივობები, პროექტები, ღონისძიებები, განცხადებები და სხვა. სკოლის პორტალზე გამოქვეყნებულია „კანონიერი უფლებების დაცვის“, „პერსონალური მონაცემების დაცვის“, „მოსწავლეთა ჩარიცხვის“, „განცხადებისა და საჩივრს განხილვის“ წესები, სკოლის შინაგანაწესი.

მოსწავლეებისათვის მათი უფლებებისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების გაცნობას თითოეული კლასის დამრიგებელი ახორციელებს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ეს შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალიზაციით, სახელოვნებო/შემოქმედებითი მიდგომების გამოყენებით. სკოლაში დაუშვებელია მოსწავლისათვის უფლებებისა და წესების გაცნობა დოკუმენტზე ხელმოწერით, მოსწავლეში შიშის გრძნობის გაღვიძება, დასჯის შიშის შექმნა და სხვა. თითოეული მოსწავლის მშობელთან/მეურვესთან სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

## 3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

სკოლამ წარმოადგინა მშობელთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული, კანონმდებლობის შესაბამისი, ხელშეკრულების ნიმუში, სადაც გაწერილია მხარეთა უფლებები, მოვალეობები და ვალდებულებები. აგრეთვე ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა მშობელთან დადებული შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს თანხმობას მოსწავლეთა სასკოლო თუ არასასკოლო აქტივობებში (მაგ. გაკვეთილები, ექსკურსიები, კონკურსები, პროექტები, სკოლის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები, ოლიმპიადები, შეჯიბრებები, გასვლითი შეკრებები და ა.შ.) გადაღებული ფოტოს, ვიდეოს და აუდიო ჩანაწერების საციალურ ქსელში, საჭიროებისამებრ განთავსებაზე. ხელშეკრულება ასახავს მხარეთა უფლება-მოვალეობებს, მოსწავლის უფლებებსა და მოვალეობებს, ინფორმაციას პერსონალური მონაცემების გამოყენების შესახებ, ხელშეკრულების მოქმედების ვადისა და შეწყვეტის წესს, დავების გადაწყვეტას, მხარეთა რეკვიზიტებს. ხელშეკრულებაში გაწერილი პირობები სრულ შესაბამისობაშია ქვეყანაში მოქმედ საკანონმდებლო რეგულაციებთან. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია, ხელშეკრულებაში მხარეთა შეთანხმებით ცვლილებების განხორციელება, მოსწავლის საუკეთესო ინტერესებისა და უფლებების გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
**დანართი 4**- სამეურვეო საბჭოს ოქმი N 2,
**დან.16** - შინაგანაწესი,
**დან.21**- დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ
**დან.22** - დისციპლინარულის ოქმი,
**დან.51** -მშობელთან და სკოლასთან გასაფორმებელი ხელშეკრულება
**დან.67**,- ბრძანება კანონიერი უფლებების დაცვის დამტკიცება,
**დან.77**- ბრძანება N 28 პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის დამტკიცების შესახებ
**დან.47**- მშობელთა კრების ოქმი,

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. აღნიშნული წესი არეგულირებს სკოლაში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს და მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურებს. დოკუმენტი ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს: სკოლაში პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრა, რეგისტრაცია და მისი ეტაპები; სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და ჩარიცხული მოსწავლეების შესახებ მონაცემების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახვა; მოსწავლის სტატუსის შეჩერება; მოსწავლის შეჩერებული სტატუსის აღდგენა; მოსწავლეთა მობილობის წესი; მობილობისას განსახორციელებელი პროცედურები; მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანა;
შემოსული განცხადებები მოსწავლეთა მობილობაზე, ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების ბრძანებები კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში აისახება ელქტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (eFlow), ასევე eSchool საინფორმაციო სისტემაში. „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“ განსაზღვრავს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამის მექანიზმებს. დოკუმენტი ვებგვერდის მეშვეობით ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის; საფეხურის დაძლევის წესს განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმა.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტებით დასტურდება, რომ დირექტორის ბრძანების საფუძველზე ხორციელდება მოსწავლის ჩარიცხვა, კლასიდან კლასში გადაყვანა, საფეხურის დაძლევა. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს, რომლებსაც საგნის წლიური ქულა გამოსდით „5"-ზე ნაკლები, ენიშნებათ საშემოდგომო გამოცდა. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს, სასწავლო წლის განმავლობაში კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტის გაცდენის გამო, ენიშნებათ მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების მექანიზმებს. სკოლა მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმების დასაცავად ხელმძღვანელობს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესით". სკოლის სიმძლავრის, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით ბრძანებით განსაზღვრება პირველკლასელთა რიცხოვნობა. ჩარიცხვისას ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ასაკს. სკოლა ყოველთვის იცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ წესებს. „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი" ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის, განთავსებულია ვებგვერდზე.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

### 3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის შიდა პოლიტიკისა და მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია აღწერილია სკოლის შინაგანაწესში, რომელიც განთავსებულია სკოლის ფოიეში, საინფორმაციო დაფაზე. მოსწავლეთა ქცევის კოდექსი, მასწავლებლის სტანდარტი და ეთიკის კოდექსი, დირექტორის სტანდარტი და ეთიკის კოდექსი/ ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის.
სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს მეორე უცხოურ ენას ასარჩევად. რის შესახებაც ინფორმაცია იდება სკოლის სოციალურ ქსელში და დამრიგებელი მეოთხე კლასის ბოლო მშობელთა კრებაზე აცნობს მშობლებს ამ ინფორმაციას. საშუალო საფეხურზე სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს არჩევით საგნებს, მათი ინტერსების გათვალისწინებით.
სკოლის პოლიტიკიდან გამომდინარე, ძირითადი საგნების შესწავლასთან ერთად, მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების მიღება. სკოლაში არაფორმალური განათლების მიმართულებით იქმნება კლუბები მოსწავლეთა საჭიროებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა წრეები და კლუბები, STEAM კლუბი, ლიტერატურული კლუბი „წიგნომანი“, კომპიუტერული ტექნოლოგიების კლუბი Tech Titans”,სამოქალაქო განათლების კლუბი „მცველები“. მხატვრული კალიგრაფიისა და ხელსაქმის კლუბი, მათემატიკის კლუბი „პითაგორა“.

სკოლა ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს, მათ მშობლებს/ კანონიერ წარმომადგენლებს წარუდგენს სათანადო წესით დამტკიცებულ სკოლის შინაგანაწესსა და სასკოლო სასწავლო გეგმას, მზაობას მოსწავლეების მიღებისა და შემდგომი პროცესების თაობაზე (მოსწავლეების კლასებში გადანაწილება და სხვა). პირველკლასელებს სასწავლო პროცესის დაწყებამდე სთავაზობს სკოლის დათვალიერებას, რათა სწავლის დაწყებისას მათთვის უცხო არ იყოს სასკოლო გარემო და სასწავლო სივრცეები. ტრანსპორტით მოსარგებლე მოსწავლეებს აცნობს ტრანსპორტით სარგებლობის წესებს. ბრძანებით განსაზღვრავს ტრანსპორტის მომსახურების მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირს, რომელიც ზრუნავს მოსწავლეების უსაფრთხოებაზე და ა.შ.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლაში ჩატარებულ ღონისძიებებში, პროექტებში, კონფერენციებში და სხვა აქტივობებში ნებისმიერ მოსწავლეს აქვს ჩართვის შესაძლებლობა, ისარგებლოს ნებისმიერი რესურსით, დისკრიმინაციის გარეშე. ინფორმაციის გასაჯაროებისათვის სკოლა ახდენს მშობელთა ინფორმირებულობას და მათგან იღებს თანხმობას, ამისათვის სკოლას შემუშავებული აქვს თანხმობის ფორმა, სადაც მშობლები საკუთარ თანხმობას ადასტურებენ ხელმოწერებით. აგრეთვე ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ ქვეყნდება ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას, სასკოლო ფოიეში, ზიარდება სოციალურ გვერდზე. სკოლის ან სკოლის პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ სრულად არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. მაგ. სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები პირველივე მშობელთა კრებაზე მოსწავლეების მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აწვდიან ინფორმაციას სკოლაში არსებული წრეების შესახებ. აცნობენ მათი მომსახურების პირობებს, ახალ პედაგოგებსა და გასული სასწავლო წლის მიღწევებს. დირექცია რესურსცენტრიდან მოწოდებულ ინფორმაციებს დაუყოვნებლივ აცნობს სასკოლო საზოგადოების წევრებს (ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი) და სხვა. სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა წრეები და კლუბები, STEAM კლუბი, ლიტერატურული კლუბი „წიგნომანი“, კომპიუტერული ტექნოლოგიების კლუბი Tech

Titans",სამოქალაქო განათლების კლუბი „მცველები". მხატვრული კალიგრაფიისა და ხელსაქმის კლუბი, მათემატიკის კლუბი „პითაგორა".

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

დანართი; N 100 მოსწავლეთა ჩარიცხვის , საფეხურის დაძლევის, მობილობის , სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცება;
დან. N94 ბრძანება N10 მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ,
დან.N95 ბრძანება მოსწავლის კლასიდან ამორიცხვის შესახებ.
დან 96- კლუბები,
დან.48 -სურათები ერთწლიანი სამოქმედო გეგმის,
დან .90 - სტემ ლაბორატორიის ინვენტარი,
დან. 9 -2025-2026 სამოქმედო გეგმა,
დან.-98 -მოსწავლის ქცევის წესები
დანართი 91 სოციალური გვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**

### 4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლაში ჩარიცხული მოსწავლეების ადაპტაციის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. ადაპტაციის წესით სკოლა მიზნად ისახავს დაეხმაროს მოსწავლეს,რათა შეეგუოს სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებას. დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში. კლასის დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს კლასის მასწავლებლებს. ახალი მოსწავლის დასწრების პირველივე გაკვეთილზე (ან დასვენებაზე) დამრიგებელი აცნობს მოსწავლეებს კლასის ახალ მოსწავლეს და აძლევს საკუთარი თავის წარდგენის საშუალებას. ზოგადად დამრიგებელი პირველივე სადამრიგებლო საათს იყენებს მოსწავლეთა გაცნობისა და დაახლოებისთვის. დამრიგებელი მუდმივ კომუნიკაციაშია ახალ მოსწავლესა და მის მშობელთან და მოიკვლევს ინფორმაციას მოსწავლის განწყობისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ. დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს თავის უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს და სხვა საჭირო შიდა აქტებს, ასევე, სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და უსაფრთხოების ინსტრუქციებს. სკოლის პირველი კლასის დამრიგებელი მუდმივად თანამშრომლობს თემში არსებულ საბავშო ბაღებთან, აგროვებს ინფორმაციას პოტენციურ პირველკლასელთა შესახებ, აცნობს მშობლებსა და ბავშვებს სკოლის სტრუქტურას, ეპატიჟება სასკოლო ღონისძიებებზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საბაზო საფეხურიდან საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა ტრანზიციას. სკოლა სრულ მზაობას გამოხატავს სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა ადაპტირებისა და საფეხურებრივ ტრანზიცირების წარმატებით განხორციელებისთვის. სკოლაში მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები აერთიანებს სკოლის მიერ მოსწავლის სასკოლო გარემოს ხელშეწყობის, კარიერის დაგეგმვის და პროფესიული ორიენტაციის მხარდაჭერას, სსსმ მოსწავლეებისათვის შესაბამისი სერვისების მიწოდებას. პირველკლასელების ტრანზიცია ასახულია დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ „სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წეს“-ში. აღნიშნული წესი ასევე განსაზღვრავს მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პირობებს და მნიშვნელოვან ფაქტორებს, სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციას, მობილობით გადმოსული მოსწავლეების ადაპტაციას, საბაზო/საშუალო საფეხურის მოსწავლეების ადაპტაციას.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, მაგალითად, როდესაც მოსწავლე სხვა სკოლიდან გადმოდის, მოსწავლეებს აცნობენ სკოლის შენობას, სპეციფიკას, სოფლის ისტორიას და ტრადიციებს. სკოლაში არსებული პოზიტიური და უსაფრთხო გარემო უადვილებს მოსწავლეს სასკოლო საზოგადოების წევრობას პირველივე დღიდანვე. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, მოსწავლეების სასწავლო გარემოს ადაპტაციის ხელშეწყობისთვის სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეების ასაკისა და განვითარების შესაბამისი ავეჯის, საკლასო გარემოსა და სივრცის უზრუნველყოფას. სასწავლო წლის დაწყების პირველ დღეს, სასწავლო პროცესი ტარდება განსხვავებული ფორმატით. სკოლის ეზოში ეწყობა საზეიმო დახვედრა. მოსწავლის სასკოლო პროცესში ადაპტაციისათვის გასათვალისწინებელი ფაქტორებია: მოსწავლის ინდივიდუალური ხასიათი, მისი თვისებები, უფროსი და-ძმის გამოცდილება (ასეთის არსებობის შემთხვევაში). დამრიგებლის როლი იმ მოსწავლეებთან რომელთაც გააჩნიათ ენობრივი ბარიერი ან კულტურული განსხვავებულობა, მშობლის ფაქტორი, საორიენტაციო ვიზიტი - სასწავლო პროცესის დაწყებამდე ან პირველ დღეს დამრიგებლის მეშვეობით სასკოლო გარემოს დათვალიერება-გაცნობა. სსსმ მოსწავლეების ადაპტაციაში კლასის დამრიგებლებთან ერთად მნიშვნელოვანი როლი აქვს სპეციალურ მასწავლებელს, პედაგოგებს და ადმინისტრაციას. სსსმ მოსწავლეებს მშობლებს მიეწოდებათ ამომწურავი ინფორმაცია თუ რა დამხმარე სერვისებია სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის. საბავშვო ბაღებში ეწყობა ვიზიტები და მოსწავლეთა მონაწილეობით ღონიძიებების გამართვა.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

### 3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლის ყველა მოსწავლეს შეუძლია კონსულტაცია მიიღოს საგნის მასწავლებლისაგან აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად. სემესტრის მანძილზე ხდება ჩატარებული შემაჯამებლების დროს გამოვლენილი შეცდომების განხილვა, ეფექტური უკუკავშირის, განმავითარებელი კომენტარებისა და რეკომენდაციების მიცემა. მასწავლებლები შემოქმედებითი, კომპლექსური ტიპის დავალებების დამუშავების ეტაპებზე იყენებენ მრვალფეროვან აქტივობებს, რათა განსხვავებული შესაძლებლებების მოსწავლეებმა თანაბრად შეძლონ სასწავლო პროცესში ჩართვა.
სკოლა აქტიურად ზრუნავს მოსწავლის აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, რისთვისაც მოსწავლეები სისტემატურად იღებენ სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას. მოსწავლეები, მათი მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები დამრიგებლების მეშვეობით ეცნობიან ინფორმაციას მათი აკადემიური მიღწევების შესახებ (კონფიდენციალურობის დაცვით). მოსწავლეები პედაგოგებისაგან რეგულარულად იღებენ განმავითარებელ უკუკავშირებს.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლის დამრიგებლები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან პირველივე შეხვედრაზე, კლასის კრებებზე, მშობლებსა და მოსწავლეებს აცნობენ უფლებებსა და მოვალეობებს. სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაწერილია, რომ სკოლა იღებს ვალდებულებას მოსწავლეს მიაწოდოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი გაანათლება, რომელიც ეფუძნება ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, ჯანსაღი ცხოვრების, დემოკრატიისა და თანასწორობის პრინციპებს. მოსწავლეს უფლება აქვს დაცული იყოს ყოველგვარი ძალადობისგან. სკოლაში დირექტორის ბრძანებით გამოყოფილია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც ახდენს იდენტიფიცირებას. ასევე, მოსწავლეები და მათ მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები საჭიროების შემთხვევაში იღებენ ინფორმაციას მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრის შესახებ.
სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადაში სრულად უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. საჭიროების შემთხვევაში სკოლა იყენებს შინ სწავლების ფორმას. სკოლის მიერ დამტკიცებული დოკუმენტი ,,მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“ ამომწურავ ინფორმაციას იძლევა ნებისმიერი კლასის, პირველკლასელების რეგისტრაციის, მობილობის, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარებისა და მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ და ა.შ. დოკუმენტი საჯაროდ ხელმისაწვდომია, გამოქვეყნებულია სკოლის ვებგვერდზე.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა კანონმდებლობის დადგენილი წესით სათანადო კვალიფიკიციის მქონე კადრებით უზრუნველყოფს არაფორმალური აქტივობების მხარდაჭერას. დაგეგმილია აქტივობები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური და შემოქმედებითი მიდრეკილებების გამოვლენას, ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნების, გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემის გადაჭრის, სისტემური აზროვნების, სოციალური და თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. ყველა სასკოლო აქტივობა მხარდაჭერილია დამრიგებლების, დირექციის და მშობლების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა და მათი მშობლების უკუკავშირი.

მოსწავლეების/დაინტერესებული პირების უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეების მომსახურებას, სკოლას ზეპირსიტყვიერად და კითხვარებით აქვს მიღებული ინფორმაცია მოსწავლეების, მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისაგან თუ რამდენად კმაყოფილი არიან სკოლის მიერ მიწოდებული სერვისებით. სკოლა სამომავლოდ აპირებს, მონაცემების შეგროვებას გაწეული მომსახურეობის შესახებ მოსწავლეების გამოკითხვის, ანკეტირების, სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით. მიღებული მონაცემები გაანალიზდება და გათვალიწინებული იქნება სკოლის მიერ გაწეულ მომსახურებებში.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
დან.97 ბრძანება N27 ტრანზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ,
დან.103 სურათი პირველ კლასელთა დახვედრა
დან. 104 კლასის საათი მე-4 კლასი
დან N 87 ინფრა სტრუქტურული რესურსი დან 81 კომპიუტერული ლაბორატორია,
დან- 82 ფიზიკის ლაბორატორია,
დან N 83 ბიბლიოთეკა
დან 102 სასკოლო ღონისძიებები
დან.45 კითხვარი მასწ-სათვის, მშობლებისათვის.
დან.46 მასწავლებლების მხრიდან უკუკავშირი.

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა, მოსწავლეების კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მხარდაჭერის მიზნით, თანამშრომლობს ქალაქ ახალციხეში მდებარე პროფესიულ კოლეჯთან „ოპიზარი“, ასევე, სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტთან და კადეტთა ლიცეუმთან. პროფესიული ორიენტაციის მიზნით დაგეგმილია აქტივობები სადამრიგებლო საათზე, სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე, სხვადასხვა საგნობრივ პროგრამებში, რაც ერთერთი გამჭოლი პრიორიტეტია სასკოლო კურიკულუმებში. სკოლა ხელს უწყობს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომობას. კარიერული მიზნები განისაზღვრება მოსწავლეების ინდივიდუალური უნარებითა და ინტერესებიდან გამომდინარე. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეების მხარდაჭერას საკუთარი ფიზიკური და პიროვნული შესაძლებლობების აღმოჩენასა და შესაბამისი პროფესიების იდენტიფიცირებაში. ეწყობა სასწავლო ექსკურსიები სხვადასხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებში. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს რესურსცენტრიდან მიღებულ ინფორმაციებს კარიერული წინსვლისა და პროფესიული განვითარების თაობაზე.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. სკოლას ხშირად სტუმრობენ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლები, სამხედრო პირები-საკუთარი პროფესიის პოპულარიზაციის მიზნით, ეწყობა ღია კარის დღეები და ესაუბრებიან აბიტურიენტებს და სთავაზობენ აირჩიონ სასურველი ფაკულტეტები მათ მიერ წარდგენილი პრიორიტეტების მიხედვით.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში მეტწილად ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. სკოლა მოსწავლეებისგან უკუკავშირს იღებს ზეპირსიტყვიერად, მომავალ პროფესიებზე საუბრები დაწყებითი კლასებიდანვე ხორციელდება და ამასთან დაკავშირებით არაერთი პროექტია განხორციელებული, თუმცა სკოლა სამომავლოდ გეგმავს პროფორიენტაციის კუთხით კვლევის წარმოებას. ჩაატარებს გამოკითხვას და დაადგენს რამდენად ეხმარება სკოლა მოსწავლეს პროფორიენტაციაში.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
დან.106 პროფორიენტაცია.
დანართი 42. ბრძანება N 96 პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროგრამაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ, დანართი
დან. 43 ვიზიტი კოლეჯ ოპიზარში
დან.107 პროგრამების გაცნობა მოსწავლეებისათვის

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლაში ამჟამად სწავლობს 5 სსსმ მოსწავლე. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. მექანიზმი მკაფიოდ განსაზღვრას სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის პროცესებს. ხარისხიანი ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის მიზნით, შიდა მონიტორინგის ჯგუფი ახორციელებდეს მონიტორინგს, შემუშავებული შიდა პროცედურის შესაბამისად. სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები შემუშავებულია მოსწავლეთა შესაძლებლობებიდან გამომდინარე მათი ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე მშობლების პრიორიტეტის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სსსმ მოსწავლეთა პედაგოგები ქმნიან კეთილგანწყობილ გარემოს მოსწავლეებისათვის და ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირების საფუძველზე . სკოლაში შექმნილია ისგ ჯგუფები. სპეციალური მასწავლებელი აქტიურად მუშაობს მოსწავლეებთან რესურს ოთახში, ინდივიდუალურად ეხმარება საგნის მასწავლებლებს სსსმ მოსწავლეთა სასწავლო მიზნების განსაზღვრასა და რესურსების შექმნაში. ახორციელებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგს. სკოლის ადმინისტრაცია ზრუნავს სსსმ მოსწავლეთა კეთილგანწყობილი, ადაპტირებული გარემოს შექმნასა და სასწავლო რესურსებით, შესაბამისი ინვენტარით რესურს ოთახის აღჭურვაზე.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
დანართი-108- ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება,
დან.-84 - სპეც მასწავლებლის ხელშეკრულება
დანართი 112 ინდ. გეგმები,
დანართი 30 ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგი

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი**

**მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლაში მოქმედებს სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის" პროგრამა. პროგრამის ფარგლებში სკოლის მოსწავლეებს სასკოლო ტრანსპორტი ემსახურება ოთხი მიმართულებით. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საკოლო ტრანსპორტის სწორად ფუნქციონირებისა და მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ტრანსპორტის მომსახურების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ზრუნავს მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე, ამოწმებს ტრანსპორტის სისუფთავეს, შესრულებულ რეისებს და ამოწმებს მანქანის გამართულობის დოკუმენტაციას.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

ამ ეტაპზე სკოლა არ ახორციელებს არასავალდებულო დამატებითი ხასიათის მომსახურებას

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

3. **საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

ამ ეტაპზე სკოლა არ ახორციელებს არასავალდებულო დამატებითი ხასიათის მომსახურებას

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

დანართი 109 ტრანსპორტის ტაბელები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე**

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>(ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) | ☐ **შეესაბამება**<br>☒ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>( ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) | ☐ **შესაბამება**<br>☒ **მეტწილად შესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შესაბამება**<br>☐ **არ შესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>( ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) | **☐ შესაბამება**<br>**☒ მეტწილად შესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შესაბამება**<br>**☐ არ შესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შესაბამება<br>☒ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

*ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.*

## 2. სასკოლო კურიკულუმი

### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

#### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.**

   სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. დოკუმენტში აღწერილია:
   - რა არის / რას ემსახურება სასკოლო კურიკულუმი;
   - სისტემური დონის რეგულაციები, რომლებსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმი;
   - პროცესებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები / პოზიციები;
   - პროცესში ჩართული მხარეები;
   - კურიკულუმის შემუშავება/განვითარებასთან დაკავშირებული ძირითადი და დამხმარე პროცესები;
   - კავშირები სხვა პროცესებთან.

   მეთოლდოლოგიაში განსაზღვრულია, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობის რეჟიმში ხდება. ამ პროცესში რეალური მონაწილეობა გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებასა და კონსულტირებას, არამედ ინტენსიურ თანამშრომლობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას.
   საერთო ჯამში კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია წარმოადგენს ზოგად გზამკვლევს და საჭიროა მეტად იყოს მორგებული სკოლის თავისებურებებზე.

   **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

   სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ცხადყოფს, რომ შერჩეული თემები და საკითხები სასკოლო საზოგადოების ინტერესს ითვალისწინებს და თანხვედრაშია საგნობრივ სტანდარტთან. კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებთან თანამშრომლობითა და განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის გათვალისწინებით.

პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინტერესების, ასაკობრივი თავისებურებების, უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით შეარჩიეს კომპლექსური ტიპის დავალებები. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტზე დაყრდნობით იკვეთება, რომ სკოლას აქვს ხედვა განავითაროს კურიკულუმი მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და მათი პრიორიტეტების გათვალისწინებით. სკოლის მიერ წარმოდგენილია სკოლის მისია-ხედვა-ღირებულები, სადაც გამოკვეთილია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. სასკოლო პრიორიტეტების გამოკვეთისა და რეალიზების მექანიზნები ჩანს საგნობრივ კურიკულუმებში.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

### 3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტისა და პედაგოგებთან ინტერვიურების საფუძველზე გაირკვა, რომ კათედრებმა შეიმუშავეს საგნობრივი კურიკულუმები. კურიკულუმის შემუშავება გულისხმობს მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამის და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობების განსაზღვრას. ამ პროცესში კათედრის ყველა მასწავლებელი ერთვება. მასწავლებელი ვალდებულია აქტუალური და პრობლემური საკითხები განიხილოს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, რაც აჩენს სივრცესა შესაძლებლობებს კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი ჩართულობისთვის. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ წლის განმავლობაში აკვირდებიან სასწავლო პროცესს, რის საფუძველზეც იგეგემება მოსწავლეთა ინტერსებზე მორგებული სასწავლო პროცესი. მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით გეგმავენ სასკოლო პროექტებს. აქვთ მზაობა, არსებული პრაქტიკა განავითარონ და უზრუნველყონ მშობელთა ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

### 4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ვიზიტის დროს, მასწავლებლებთან ინტერვიუირებით გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები საკუთარ საქმიანობას უკავშირებენ კურიკულუმს და ისინი ინფორმირებულნი არიან მის შესახებ. კერძოდ, მათ მიეწოდებათ უკუკავშირი და გამოკვეთილია თითოეულის პასუხიმგებლობაზე დაფუძნებული ჩართულობა პროცესებში. ამასთან, სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. კურიკულუმის გაზიარებისათვის იყენებენ მშობელთა კრებებს/შეხვედრებს, ელექტრონული ჟურნალით გაზიარებას, მოსწავლეებთან კომპლექსური დავალების ბარათების გაგზავნას და სხვა.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
დანართი -111 - პედსაბჭოს ოქმი N7 ურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია,
დანართი 110 დაწყებითის კათედრის ოქმ N1.
დანართი 113 დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი

### 2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სამივე საფეხურისთვის შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში შუალედურ მიზნებად განსაზღვრულია შემოქმედებითი ტიპის დავალებები,მოსწავლეებისათვის შეთავაზებულია ცხოვრებისეული/ნაცნობი კონტექსტები,დავალების პირობა მოსწავლეებისთვის მკაფიოს ხდის- რა საკითხის შესწავლას ემსახურება დავალება, რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა შექმნან და რა ცოდნა უნდა წარმოაჩინონ საკითხთან მიმართებით. დავალების კრიტერიუმები გათვლილია ცოდნის სამივე კატეგორიაზე, ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარებას და მიემართება ესგ-ს გძელვადიანი მიზნებისკენ. ასევე, კუროიკულუმები ითვალისწინებს მიზნობრივ, ხელმისაწვდომ და მრავალფეროვან რესურსებს შემოქმედებით პროდუქტის შესაქმნელად.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები სამივე საფეხურზე („მე და საზოგადოება“, „ჩვენი საქართველო“ - დაწყებით საფეხურზე, „ისტორია“, |

| | |
|---|---|
| | „გეოგრაფია“, „მოქალაქეობა“, „საქართველოს ისტორია“ - საბაზო და საშუალო საფეხურზე), ასევე, საშუალო საფეხურზე, არჩევითი საგანი: „მსოფლიო კულტურა“, არის მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით შემუშავებული და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დანერგვასა და განვითარების გზას. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა გამოკვეთეს სამომავლო ხედვა, ისაუბრეს გამოცდილებაზე კომპლექსური/შემოქმედებითი დავალებების განხორციელების კუთხით. სწორი აქცენტები გააკეთეს საფეხურის გრძელვადიანი მიზნის მიღწევის საშუალებებსა და შუალედურ მიზნებზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, კურიკულუმების მრავალფეროვანი ფორმატი, რაც პედაგოგებს სურდათ, საკუთარი გამოცდილების სადემონსტრაციოდ წარმოედგინათ.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**<br><br>**<u>რჩევა</u>** : სასურველია თუ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა შეთანხმდება საგნობრივი კურიკულუმის ერთიან ფორმატზე. |
| უცხოური ენები | კათედრაზე კურიკულუმი შემუშავებულია სასწავლო წლის დაწყებამდე, მე–3 თაობის ესგ მიზნებზე დაყრდნობითა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. შემუშავებული კურიკულუმი მიემართება მარტივიდან რთულისაკენ და უზრუნველყოფს საფეხურის შედეგების მიღწევას.<br>წარმოდგენილია I-XII კლ. ინგლისურის და რუსულის V-XII კლ. კურიკულუმები. <u>სამივე საფეხურზე</u>, ორივე ენაში, კურიკულუმები აგებულია მე-3 თაობის ესგ-ის გრძელვადიან მიზნებზე და მოიცავს 1 ან 2 შუალედურ მიზანს. თემები სახელმძღვანელოების მიხედვითაა შერჩეული. დავალების პირობა გასაგებად და მკაფიოდ ფორმულირებულია, ახლავს კონტექსტ–მაგალითები და მაგალითები შედარებისათვის. სწავლებისას შეთავაზებულია მრავალფეროვანი დამატებითი მასალა; ვიდეოების, ინტერაქტიული თამაშების, მაკეტისა და სხვა პროდუქტის დამზადების შემსწავლელი, აკადემიური უნარების განმამტკიცებელი რესურსებისა და ბმულების სახით.<br>კათედრამ სამივე საფეხურზე წარმოადგინა შემოქმედებითი ტიპის დავალებებზე მუშაობის ამსახველი მასალა; კომპლექსური დავალების ბარათების, შეფასების რუბრიკების, მოსწავლეთა ნამუშევრებისა და მასწავლებელთა რეფლექსიების სახით. მოწოდებული მასალა შეესაბამება მათ მიერ კურიკულუმში წინასწარ გაწერილ შუალედურ მიზნებს და აჩვენებს სასწავლო პროცესის განვითარების გზას.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |

| | |
|---|---|
| | **სასურველია**; დაწყებით საფეხურზე ინგლისურის მე–4 კლ. შემოქმედებით დავალებას ახლდეს »მაგალითები შედარებისათვის« და »კონტექსტ–მაგალითი«. საბაზო საფეხურის ინგლისურისა და რუსულის მე–9 კლ.–ის კურიკულუმები ტექნიკურად გაუმჯობესდეს. მე–7 კლ. ინგლისურის სასწავლო გეგმაში გამოიკვეთოს შემოქმედებითი დავალების პირობაში შესაქმნელი პროდუქტი; მაგ; »დაწერეთ თემა საყვარელი ქალაქის შესახებ«. საშუალო საფეხურის რუსულის კურიკულუმებში შეტანილ იქნეს თემის შინაარსობრივი დასახელებები,<br>სახელმძღვანელოს ან სასწავლო პროცესში, დასახული პრიორიტეტების მიხედვით. |
| ესთეტიკური აღზრდა | **მუსიკა, ხელოვნება:** სკოლას სამივე საფეხურიზე აქვს გამართული სასკოლო კურიკულუმები, რომელშიც გათვალისწინებულია გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მისაღწევი შედეგები, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები.<br><br>კურიკულუმები შეესაბამება ესგ -ს მიხედვით წარმოდგენილ თემებს და სკითხებს.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| სახელმწიფო ენა | სამივე საფეხურზე კათედრამ წარმოადგინა ყველა კლასის სასწავლო წლის განმავლობაში გაწერილი კურიკულუმის ჩარჩო. შემუშავებული კურიკულუმები ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და შეესაბამება მისი მოთხოვნებით განსაზღვრულ შედეგებსა და შინაარსს. კურიკულუმების ანალიზისა და ინტერვიუს საფუძველზე გამოჩნდა, რომ კათედრას გააზრებული აქვს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განხორციელების ხედვა.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**<br><br>**რჩევა:** VII, X კლასების კურიკულუმის ჩარჩო შეიქმნას ცნების, თემის, საკითხის, კონტექსტ მაგალითის, შემოქმედებითი დავალების იდეის, რესურსების გრაფების გამოყოფა-გათვალისწინებით.<br><br>კურიკულუმებში ყველა გრაფა შეივსოს. ზოგ შემთხვევაში შემოქმედებითი დავალების იდეის გრაფა ცარიელია.<br><br>სასურველია, საკითხი და შემოქმედებითი დავალების იდეა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან. ხშირად შემოქმედებითი დავალების იდეაში წერია საკითხი ან ორივე გრაფაში ერთი და იგივე წერია. |

| | |
|---|---|
| | სასურველია, საკითხი იყოს სახელდებითი ფორმით, თუ რა უნდა ვასწავლოთ(მაგ. პერსონაჟის დღიურის შექმნა), ხოლო შემოქმედებითი დავალების იდეაში დაიწეროს შემოქმედებითი დავალების პირობა კრიტერიუმებამდე.<br><br>სასურველია, კურიკულუმს თავში მიეთითოს სახელმძღვანელოს ავტორი/ავტორები და გამომცემლობა(ორივე).<br><br>შეფასების რუბრიკები დაეყრდნოს მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, მეტად წარმოჩინდეს რუბრიკაში, თითოეულ ცნებასთან მიმართებით რა ფასდება დავალებაში.<br><br>სასურველია, კონტექსტ მაგალითში ჩაიწეროს რესურსის/ტექსტის მხოლოდ სათაურები(მაგ. მიხეილ ჯავახიშვილის ,,ეშმაკის ქვა''), რაზე დაყრდნობითაც ასწავლით.<br><br>რესურსებში კონკრეტულად მიუთითეთ, სად არის ეს მასალა განთავსებული (მაგ. სახელმძღვანელო, გვ. 12–13).<br><br>რესურსებში მითითებულ ბმულს ახლდეს სათაური იმისა, რასაც უთითებთ. |
| მათემატიკა | კურიკულუმები, რაც მათემატიკის კათედრამ წარმოადგინა დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე ნამდვილად ემსახურება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას. კურიკულუმში მოცემულია თემები საკითხები ცნებები და ქვეცნებები. საგნობრივი კურიკულუმები შედგება აუცილებელი სტრუქტურული ერთეულებისაგან.გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. კურიკულუმიდან და ინტერვიუებიდანაც გამოიკვეთა რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**<br><br>**რჩევა:** შემოქმედებითი ტიპის დავალებებში გასათვალისწინებელია ახალი სამიზნე ცნებები(მათ. მოდელი, კანონზომიერება, ლოგიკა) . ასევე, თემების გრაფაში არის ჩაწერილი საკითხები და |

| | |
|---|---|
| | შეუცვალეთ ადგილი. სასურველია, კათედრაზე შეირჩეს შემოქმედებითი ტიპის დავალებების რაოდენობა ისე, რომ მისი განხორციელება მოხერხდეს სასწავლო წლის განმავლობაში. ჩაიწეროს რეალური რაოდენობა რასაც ნამდვილად შძლებენ რომ განახორციელონ. |
| სპორტი | კათედრებზე შემუშავებული კურიკულუმები, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა დ განვითარების გზას წარმოადგენს. სამიზნე ცნებები, რომლებიც გრძელვადიან მიზნებს აზუსტებ გამოდინარეობს საგნობრივი სტანდარტის შედეგებიდან, რაც საფეხურის ბოლოს უნდა იქნეს მიღწეულ გაწერილი თემები, აქტივობები, საკითხები, ცნებები და ქვეცნებები მოსწავლეს საგნობრივ ცოდნა ამლევს თითოეული თემიდან გამომდინარე, ხოლო გათვალისწინებული კომპლექსური დავალებებ მოსწავლის გააქტიურებას განაპირობებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| ტექნოლოგიები | კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმებში ჩანს რომ შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას . კურიკულუმები ორიენტირებული სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია შუალედური დავალებები, რომლებიც შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და ტრანსფერს, სააზროვნო უნარების განვითარებას, ცოდნის გამთლიანებას, ორგანიზებასა და ურთიერთადაკავშირებას კომპლექსურ პროდუქტის შექმნისას. გამოკვეთილია სამიზნე ცნებების, საგნობრივი საკითხების, შუალედური დავალებების ერთმანეთთან ურთიერთმიმართება და კოლერაცია. კურიკულუმის ჩარჩოებში გამოიკვეთა, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებით კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებასა და ფუნქციური უნარების ჩამოყალიბებაზე. დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სასწავლ პროცესის დაგეგმვა ეფუძნება მოსწავლის წინარე |

| | |
|---|---|
| | გამოცდილებას და მიმართულია ცოდნის კონსტრუირებაზე. კათედრას აქვს კურიკულუმზე მუშაობის და მისი პრაქტიკაში რეალიზების სათანადო გამოცდილება, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განვითარებას.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

## 2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სამივე საფეხურის საგნობრივ კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ სტანდარტებს და მიემართება გრძელვადიანი მიზნებისკენ (საფეხურის შედეგებისა და სამიზნე ცნებებისკენ,.) პედაგოგენთან გასაუბრებისას გამოიკვეთა,რომ სასწავლო პროცესში მიმდინარე აქტივობები ემსახურება დავალების კრიტერიუმების თანმიმდევრულ დამუშავებას, დავალების ცალკეული კომპონენტები ითვალისწინებენ კონსტრუქტივისტულ პრინციპებს და კეთებით სწავლების სტრატეგიებს, ხელს უწყობენ მოსწავლეებშიკრიტიკულიაზროვნების,შემოქმედებითობის,თანამშრომლობითი უნარების განვითარებას.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**<br><br>**რჩევა:**<br>**დაწყებითი** ცნებების/თემების რაოდენობა და ფორმულირება დაზუსტდეს სტანდარტთან მიმართებით(მე-6 კლასი-თემები/ცნებები მე-3 კლასი-თემები და ასევე ამ გრაფაში გაწერილი საკითხები გადაჯგუფდეს შესაბამისგრაფაში) თემის ფარგლებში მუშავდებოდეს ყველა სამიზნე ცნება(მაგ: მე-2კლასი-ცნება -სივრცეში ორიენტირება) |

| | |
|---|---|
| | **საბაზო-**თემის ფორმულირება დაზუსტდეს სტანდარტთან მიმართებით (მე-9 კლასი-ფიზიკა) თემის ფარგლებში მუშავდებოდეს ყველა სამიზნე ცნება (მაგ:მე-9 კლასი-ფიზიკა ცნება-მატერია. ენერგია)<br><br>**საშუალო-**კურიკულუმის ჩარჩოებში ჩანდეს რა გზით ხდება საკითხების დაფარვა (მაგ: მე-12 კლასი-ბიოლოგია )<br><br>სამივე საფეხურზე, ზოგიერთ შემთხვევაში სასურველია გათვალისწინებული იყოს შემდეგი: კონტექსტ მაგალითის გრაფებში წარმოდგენილი იყოს ის ძირითადი" ქეისი" რასაც ვთავაზობთ მოსწავლეს,ხოლო იდეის გრაფაში ჩანდეს მოსწავლეების შესაქმნელი შემოქმედებითი პროდუქტის ფორმაც და შინაარსიც. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების განვითარებას. სამიზნე ცნებების გააზრებას ხელს უწყობს სწორად და მიზნობრივად შერჩეული საკითხები და შემოქმედებითი ხასიათის დავალებები. კურიკულუმებში ძირითადად სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სამიზნე ცნება/ცნებები მუშავდება, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში სამიზნე ცნება ან არასწორად არის მითითებული, ან გამორჩენილია. რიგ შემთხვევებში კი, ასევე ვხვდებით სავალდებულო თემების ცვლილებასაც. ზოგიერთ კურიკულუმს, მიბმული აქვს თემატური მატრიცა, ან ე.წ. კომპლექსური. (მაგ.,"მოქალაქეობა" -მეშვიდე კლასი, „გეოგრაფია" - მეათე კლასი)<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დამაკმაყოფილებელია.**<br><br>**რჩევა:** სასურველია, კურიკულუმებში, უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს, თუ რომელი სამიზნე ცნება, კონკრეტულად რომელი საკითხით მუშავდება. ასევე, გადამოწმდეს ის მიდგომა, რომ ყველა სავალდებულო თემაში, ყველა სამიზნე ცნება მუშავდებოდეს; ხოლო სავალდებულო თემები, გასწორდეს მოქმედი სტანდარტის შესაბამისად. სასურველია, წარმოდგენილი კურიკულუმები შეივსოს ძირითადი კონტექსტ-მაგალითებით და შემოქმედებითი ტიპის დავალებების შემთხვევაში, მიეთითოს შესაქმნელი პროდუქტი. ასევე სასურველია, გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან კურიკულუმები და თემატური მატრიცები. |
| უცხოური ენები | სამივე საფეხურის კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ |

| | |
|---|---|
| | მიზნებს. როგორც პირველ (ინგლისური), ასევე მეორე (რუსული) უცხოურ ენაში წარმოდგენილია მე-3 თაობის ესგ-ის სამიზნე ცნებებზე მორგებული სასწავლო გეგმა.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**<br><br>**სასურველია:** <u>დაწყებითი საფეხური</u>ს ინგლისურის კურიკულუმებს დაემატოს სამიზნე ცნება: »კულტურათა დიალოგი«, ხოლო რუსულში; გამოიკვეთოს დაწყებითი საფეხურის ყველა სამიზნე ცნება თავისი შედეგებით. <u>საბაზო საფეხურის</u> ინგლისურის (მე–7კლ.) და რუსულის კურიკულუმებში აღნიშნულ იქნეს მე–3 თაობის ესგ–ს საბაზო საფეხურის ყველა სამიზნე ცნება შედეგებით. |
| ესთეტიკური აღზრდა | **მუსიკა, ხელოვნება:** კურიკულუმები ითვალისწინებს გრძელვადიანი მიზნებს, რომლებიც მოცემულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში. კურიკულუმში მოცემულია ის სავალდებულო ან და სარეკომენდაციო თემები, რომელიც გათვალისწინებულია საგნობრივი სტანდარტების მუსიკა/ხელოვნების მიხედვით. წარმოდგენილი კურიკულუმით გათვალისწინებული თემების სტანდარტის შესაბამისად განხორციელების შემთხვევაში პედაგოგები სამივე საფეხურზე შეძლებენ სრულყოფილად მიზანზე გასვლას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| სახელმწიფო ენა | სამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. სასწავლო პროცესი იგეგმება სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად თემატური ბლოკების ფარგლებში, სადაც მუშავდება საფეხურის შედეგი, გრძელვადიანი სამიზნე ცნებები. სწავლება ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებულ მოთხოვნებს. კურიკულუმში წარმოდგენილი თემატური ერთეულები და შემოქმედებითი დავალებები შერჩეულია იმგვარად, რომ უზრუნველყოს ცოდნის ტრანსფერი და მოსწავლის აქტიური ჩართულობა, რაც ხელს უწყობს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |

| | |
|---|---|
| | **რჩევა** - სასურველია, რომ კათედრამ კურიკულუმისთვის შეიმუშაოს ერთიანი ჩარჩო, რომელშიც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თითოეული სვეტის დანიშნულება. |
| მათემატიკა | დაწყებით საბაზო და საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკლუმებში შემუშავებული საკითხები, სამიზნე ცნებები და შემოქმედებითი დავალებები ნამდვილად ეყრდნობა სასწავლო პროცესში გამოკვეთილ მოსწავლეთა ინტერესებს,შესაძლებლობებს,წინარე ცოდნასა და საჭიროებებს.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| სპორტი | სკოლის მხრიდან წარმოდგენილი კურიკულუმები სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს. გათვალისწინებული საგნობრივი პროგრამა იძლევა სამიზნე ცნებებამდე მისვლის საშუალებას. ხოლო თემები, აქტივობები, საკითხები, დავალებები და სხვა დამატებითი რესურსები მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობას უწყობს ხელს, ორიენტირებულია მის პიროვნულ განვითარებაზე და ფუნქციური უნარების დახვეწას უწყობს ხელს.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| ტექნოლოგიები | სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში მუშავდება სტანდარტით გათვალისწინებული საგნობრივი მიმართულებები (კომპიუტერული ტექნოლოგიები, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ციფრული წიგნიერება) და ასევე, ყველა სამიზნე ცნება. . შუალედური დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებს. წარმოდგენილია ორიგინალური დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. მასწავლებლები შუალედური დავალებების დაგეგმვისას ითვალისწინებენ სამიზნე ცნებებსა, რაც ხელს უწყობს მოსწავლეს |

| | |
|---|---|
| | იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრას მიუდგეს შემოქმედებითად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**<br><br>**რჩევა:**<br><br>კომპიუტერულ ტექნოლოგიების კურიკულუმებში ყველა კლასში პირვანდელ გადმოგზავნილ ვერსიაში სამიზნე ცნებების სვეტში ჩაიწეროს შესაბამისი ქვეცნებები. ასევე ამოღებულ იქნას თემების სვეტი, რადგანაც კომპიუტერული ტექნოლოგიების სტანტარტში განსაზღრული არ არის თემების ჩამონათვალი. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ზოგადად თავსებადია ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) მიზნებსა და პრიორიტეტებთან. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით I კლასების კურიკულუმში სამიზნე ცნებები და სავალდებულო თემები ვალიდურად არის განსაზღვრული. თუმცა, II -III-IV კლასების დოკუმენტაციაში ფიქსირდება შეუსაბამობა სამიზნე ცნებებისა და სავალდებულო თემების დასახელებებსა და შინაარსში.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**<br><br>**რჩევა:** გრძელვადიანი მიზნები (სამიზნე ცნებები და შედეგები) და სავალდებულო თემები მოვიდეს შესაბამისობაში მოქმედი საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებთან. |

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | კურიკულუმის ჩარჩოებში, საკითხის გასწვრივ რესურსების გრაფაში წარმოდგენილი ძირითადი/გრიფირებული სახელმძღვანელო (შესაბამისი გვერდების მითითებით) უზრუნველყოფს ყველა ძირითადი საკითხის დაფარვას.<br><br>დამხმარე საგანმანათლებლო რესურსი-მატერიალური/ელექტრონული (შესაბამისი წყაროს და ელ.მისამართის მითითებით) არის მიზნობრივი, საკმარისი, ხელმისაწვდომი და მრავალფეროვანი. ხელს უწყობს მასალის უკეთ ათვისებას და სხვადასხვა სასწავლო სტილის მქონე მოსწავლეების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები სამივე საფეხურზე, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ, გრიფირებული სახელმძღვანელოები, ვიდეო რესურსები ინტერნეტ სივრციდან, რომელთაც საგანმანათლებლო შინაარსი გააჩნია, სასწავლო რუკები და სხვა.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| უცხოური ენები | უცხოური ენის კურიკულუმებში გათვალისწინებულია ორი ტიპის რესურსი: ძირითადი (გრიფირებული სახელმძღვანელოები) და ინტერნეტში მოძიებული ბმულები, რომელთა უმეტესობა შეესაბამება თემის შინაარსსა და მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს. ზოგი მათგანი უზრუნველყოფს შესასწავლი საკითხის სიღრმისეულ წვდომას, ზოგი კი მოსწავლეებს ეხმარება პრაქტიკულად შექმნან პროდუქტი შემოქმედებით დავალებებზე მუშაობის პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |

| | |
|---|---|
| | **სასურველია:** <u>დაწყებით საფეხურზე;</u> მე–5 კლ. ინგლისურის კურიკულუმის VI თემის საკითხში; კედლის გაზეთი „ძველი კულტურის ხალხთა ყოფა“, „მაგალითები შედარებისათვის” სვეტში მიწოდებული CERF B2 ვიდეო–რგოლების ნაცვლად კათედრამ მოსწავლეებს შესთავაზოს შესაბამისი აკადემიური მოსწრების (A2) საგანმანათლებლო რესურსი. რუსულის მე–5 კლ. კურიკულუმში შეტანილი ბმულები გახდეს წვდომადი. მტკიცებულება: დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის უცხოური ენების კურიკულუმები |
| ესთეტიკური აღზრდა | **მუსიკა, ხელოვნება:** ხელოვნების სამივე საფეხურზე მრავლად ვხვდებით ელ. რესურსების ლინკებს. ასევე გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოებს. სახელმძღვანელოს გვერდების მითითებებს თემებთან მიმართებაში. ელ. რესურსი მრავლადაა მოცემული დაწყებით და საბაზო საფეხურზე. ელ. ლინკების უმეტესობა მოქმედია და ხელს უწყობს მოსწავლეს საკითხის შესწავლაში. ემსახურება ცნებების უკეთ გააზრებას და კურიკულუმში დასახული მიზნების მიღწევას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**<br><br>**რჩევა:** სასურველია მუსიკის და ხელოვნების კურიკულუმებში, დაწყებით და საბაზო საფეხურზე სახელმძღვანელოს გამომცემლობასთან ერთად მითითებული იქნას თემის შესაბამისი გვერდები. |
| სახელმწიფო ენა | სამივე საფეხურის კურიკულუმში გათვალისწინებულია მრავალფეროვანი, მიზნობრივად შერჩეული სასწავლო რესურსები, რომლებიც შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და საგნობრივ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.<br><br>სასწავლო პროცესში გამოყენებულია როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე დამხმარე რესურსები - დამატებითი ტექსტები, ილუსტრაციები, სქემები, პლაკატები, ელექტრონული რესურსები და აუდიო-ვიზუალური მასალები.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |

| | |
|---|---|
| მათემატიკა | მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში, ძირითად რესურსად გამოყენებული სახელმძღვანელო და სხვადასხვა რესურსები ნამდვილად უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შდეგების მიღწევას. ასევე, პედაგოგები მოსწავლეებს აწვდიან ელექტრონულ რესურსებს მოცემულ თემასთან დაკავშირებით, რათა უფრო კარგად გაიაზრონ საკითხი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| სპორტი | სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში და დოკუმენტებში ასახული საგანმანათლებლო რესურსები: სახელმძღვანელოები, პოსტერები, თვალსაჩინოებები, განხორციელებული სპორტული აქტივობები, ონლაინ რესურსები, ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ხელს უწყობს მოსწავლის სწავლა-სწავლების აქტიურ პროცესში ჩართვას და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| ტექნოლოგიები | კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები (Scratch, 3DPaint, ,,ვსწავლოთ თამაშით", Powerpoint, Word, Excel, და სხვა) უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სკოლას აქვს კარგად ორგანიზებული კომპიუტერული ლაბორატორია, რაც იძლევა იმის საშუალებას რომ კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები სრულფასოვნად გამოიყენონ მასწავლებლებმა.**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |

| | |
|---|---|
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | კურიკულუმში ინტეგრირებული სასწავლო რესურსები მრავალფეროვანია და შერჩეულია ფუნქციური დანიშნულებით. წარმოდგენილი მასალები შინაარსობრივად შეესაბამება დასახულ სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ ეფექტურ მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფარგლებში სკოლას წარმოდგენილი აქვს ისგ-ები, დიფერენცირებული დავალებები,ასევე პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ სასწავლო პროცესში იყენებენ ორგანიზების სხვდასხვა ფორმას (ინდივიდუალური, ჯგუფური, წყვილები,), მოსწავლეეებს აძლევენ შესაძლებლობას აირჩიონ როგორც პროდუქტის ფორმა (პოსტერი, ბუკლეტი, ესე, მოდელი და ა.შ) ასევე წარდგინების ფორმა და საშუალება (ზეპირი, წერითი,ელექტრონული,მატერიალური).<br><br>პედაგოგებიახდენენკურიკულუმით გათვალისწინებული რესურსების ადაპტირებას, რათა მოარგონ სასწავლო პროცესი მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა თუ სასწავლო ტემპს. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროცესი ინკლუზიურია და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; სკოლის მიერ წარმოდგენილ სამივე საფეხურის დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი, ეს კი თავის მხრივ გულისხმობს დიფერენცირებულ სწავლის მიდგომებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სსსმ მოსწავლეებისთვის ადგენენ |

| | |
|---|---|
| | ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, რომლის ფარგლებშიც, დავალებების შერჩევისას, მაქსიმალურად ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინება.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დამაკმაყოფილებელია.** |
| უცხოური ენები | სკოლაში 5 სსსმ მოსწავლეა და უცხო ენის მასწავლებლები მათთვის წინასწარ შექმნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით ხელმძღვანელობენ. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია ინკლუზიური მიდგომები და ხდება დავალებების დიფერენცირება სხვადასხვა აკადემიური მოსწრების მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| ესთეტიკური აღზრდა | **ხელოვნება/მუსიკა:** სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, სადაც მრავლადაა სხვადასხვა სახის აქტივობები მოცემული და მათ შორის ისგ -ს ფორმები, ნათელია, რომ სკოლა სამივე საფეხურზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ და ინკლუზიური მიდგომებს. მასალაში წარმოდგენილია მოსწავლეთა ნამუშევრები, კომპლექსური ტიპის დავალებების ნიმუშები, რაც იმის დასტურია რომ სკოლა განსხვავებული შესაძლებლობების და უნარების მოსწავლეებს საშუალებას აძლევს მრავალფეროვანი მეთოდების დახმარებით დაძლიონ თემა და თემის ფარგლებში გათვალისწინებული სამიზნე ცნებები.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**<br><br>**რჩევა:** სასურველია ხელოვნებაში და მუსიკაში ისგ -ს უფრო დეტალურად შედგენა. მოსწავლის უნარების შესაბამისი აქტივობებით და რესურსების მითითებით. |
| სახელმწიფო ენა | სასწავლო პროცესი ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლეთა მრავალფეროვნებას და უზრუნველყოფს მათ აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.<br><br>სწავლების დაგეგმვისას მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, რაც გამოიხატება დავალებების, აქტივობებისა და რესურსების მრავალფეროვნებაში. |

| | |
|---|---|
| | სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა საჭიროებები. მათთვის, საჭიროების შესაბამისად, შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| მათემატიკა | სკოლა უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღების თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა მოსწავლისათვის. სკოლაში უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის განათლების მიწოდება შესაბამისი ადამიანური რესურსითა და პროგრამებით/სერვისებით. სკოლა იღებს ყველა გონივრული ზომას მოსწავლის ცოდნის სამართლიანი შეფასების უზრუნველსაყოფად.<br>სკოლაში სწავლა მიმდინარეობს გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, სადაც მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე.<br>ამჟამად სკოლაში ირიცხება 5 სსსმ მოსწავლე, კათედრაზე წარმოდგენილია შესაბამისი ინდ გეგმები. ადაპტირებული დავალებები.<br><br>სკოლაში ფუნქციონირებს მათემატიკის კლუბი რომლის მიზანია: ხელი შეუწყოს მოსწავლეებში მათემატიკის პოპულარიზაციას, მათ აკადემიურ წინსვლას, მათემატიკური, ლოგიკური და სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარებას.<br>გაზარდოს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება მათემატიკაში<br>მოსწავლეებს საშუალება მისცეს აღმოაჩინონ და განავითარონ თავიანთი შესაძლებლობები<br>ნაკლებად აქტიურ მოსწავლეებს მისცეს საშუალება ახალი ცოდნის მიღებისა და თავისუფალი დროის შინაარსიანად განკარგვისათვის<br>ხელი შეუწყოს მოსწავლეების თანატოლებთან და უფროსებთან დადებით, კონსტრუქციულ ურთიერთობასა და გუნდურ მუშაობას<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**<br><br>**რჩევა:** სასურველია სსსმ მოსწავლეებისთის შეირჩეს ისეთი ტიპის დავალებები, რაც რეალურად შესაძლებლობის ფარგლებშია. |

| | |
|---|---|
| სპორტი | სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებულდ მისი ინტერესებისა და შესაძლებლობიდან გამომდინარე. მასწავლებელი მოსწავლეს მასზე მორგებულ რესურსებსა და სასწავლო მასალას სთავაზობს, რაც მოსწავლეს სასწავლო პროცესში პროდუქტიულ ჩართულობას განაპირობებს. კომპლექსური ტიპის სამუშაო მოსწავლეს საშუალებას აძლევს ერთი და იგივე საკითხის, ერთი და იგივე სამიზნე ცნების დამუშავებისას, აირჩიოს სხვადასხვა დავალებები.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| ტექნოლოგიებ ი | სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს , რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. კურიკულუმში წარმოდგენილია მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო მასაა, შეთავაზებულია მრავალფეროვანი ელ. რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. მასწავლებელს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სადაც ჩანს დავალებების მოდიფიცირება და მორგება მოსწავლის საჭიროებაზე **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | კურიკულუმი ეფუძნება ინკლუზიური განათლების პრინციპებს; სასწავლო პროცესი და დავალებები ადაპტირებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების, საჭიროებებისა და სწავლის სტილის გათვალისწინებით.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | დოკუმენტაციაში წარმოდგენილია მოსწავლეების ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების შეფასების რუბრიკები, სხვადასხვა ტიპის დავალებებისთვის, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ასახავს მოსწავლის პროგრესს დინამიკაში და ასევე მიღწევის დონეს სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგებთან მიმართებაში. მოიცავს მკაფიო კრიტერიუმებს, რაც მნიშვნელოვანია შეფასების ობიექტურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, სამართლიანობისა და ვალიდურობისთვის, ასევე ხელს უწყობს მოსწავლეებში თვითშეფასების უნარის განვითარებას,<br><br>პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს განმავითარებელი შეფასებისა და უკუკავშირის, ასევე სადიაგნოსტიკო შეფასებების მნიშვნელოვნებაზე, , რაც ხელს შეუწყობს საჭიროებების ზუსტ და დროულ განსაზღვრას შესაბამისი რელევანტური ღონისძიებების დასაგეგმად და ასამოქმედებლად.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**<br><br>**რჩევა** სასურველია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში უფრო მკაფიოდ წარმოჩინდეს კრიტერიუმების მიმართება საგნობრივ სამიზნე ცნებებთან. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სამივე საფეხურზე, სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშველოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს როგორც მასწავლებელს, დაინახოს მოსწავლის პროგრესი, ასევე, მოსწავლეს, რომ დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე. სამივე საფეხურზე პედაგოგები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე, განმავითარებელ შეფასებას. |

| | |
|---|---|
| | მოსწავლეებს აფასებენ საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი სამუშაოს კომპონენტებით. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესსა და შედეგს აფასებენ კონკრეტული დავალებისთვის შექმნილი შეფასების სქემებით. სკოლამ წარმოადგინა ასევე ზოგადი შეფასების რუბრიკები. როგორც პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, ორი წლის წინ მეშვიდე და მეთერთმეტე კლასებში ჩაატარეს ერთიანი შემაჯამებლები. თუმცა, ამ ეტაპზე, სადიაგნოსტიკო წერების პრაქტიკა, საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით, არ არსებობს.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დამაკმაყოფილებელია.** |
| უცხოური ენები | უცხოური ენის კათედრის მიერ შემუშავებული მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლას და კათედრას შერჩეული აქვს შერეული შეფასების მოდელი: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება 5 დონის მიხედვით. ორივე ენაში შემოთავაზებული შეფასების რუბრიკები ჰოლისტური და ანალიტიკური ტიპისაა. წარმოდგენილია შემაჯამებლების ნიმუშები და მასწავლებელთა რეფლექსია, საფეხურების მიხედვით. გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებლები შეფასების კრიტერიუმებს წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს, ამობეჭდილი რუბრიკები გამოკრულია საკლასო ოთახების კედლებზეც, რაც ქმნის სწავლა–სწავლების მონიტორინგისა და თვითშეფასების შესაძლებლობას, როგორც მასწავლებლის, ისე მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**<br><br>**სასურველია;** <u>სამივე საფეხურზე</u> და ორივე ენაში, უცხოური ენის კათედრამ შეიმუშაოს მე–3 თაობის ესგ გრძელვადიან მიზანზე (სამიზნე ცნება) და შუალედური მიზნის (შემოქმედებითი დავალება) შინაარსზე, შესასწავლ თემაზე ან/და ქვესაკითხზე მორგებული ანალიზური შეფასების რუბრიკები, რომელსაც დავალებებზე მუშაობის პარალელურად ეტაპობრივად შესთავაზებს მოსწავლეებს. ასევე; დანერგოს მოსწავლეთა შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები: მოსწავლეთა პორტფოლიო, დიაგნოსტიკური წერები, პროექტული სწავლება. |
| ესთეტიკური აღზრდა | **ხელოვნება/ მუსიკა:** სკოლის მხრიდან წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვხვდებით განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასების რუბრიკებს. აღნიშნული რუბრიკები გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან, რომლებიც მიემართება კონკრეტულ შემოქმედებითი ტიპის დავალებას. |

| | |
|---|---|
| | შეფასების რუბრიკები კორელაციაშია გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებთან. ასევე გადმოგზავნილია სხვადასხვა სახის შეფასების რუბრიკები. ეს ყველაფერი ადასტურებს, რომ მასწავლებლები სათანადოდ ფლობენ შეფასების სისტემებს.<br>წარმოდგენილი დოკუმენტაცია საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ სკოლაში სამივე საფეხურზე წარმატებით ხორციელდება მოსწავლეთა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | კათედრას აქვს სხვადასხვა ტიპის დავალების შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. შემუშავებულია როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ფორმებსაც იყენებენ.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**<br><br>**რჩევა:** შეფასების რუბრიკების შექმნისას მეტად წარმოჩინდეს თითოეულ ცნებასთან მიმართებით რა ფასდება კონკრეტულ დავალებაში.<br><br>პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სამომავლოდ აუცილებლად გაითვალისწინებენ. |
| მათემატიკა | გადმოგზავნილ მასალებში არის როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითრებელი შეფასების რუბრიკები. ზოგ შემთხვევაში ეს არის ზოგადი შფასების რუბრიკები. შფასების რუბრიკები არ არის შედგენილი ისე რომ გათვალისწინებული იყოს სამივე სამიზნე ცნება. უფრო აქვს ზოგადი ხაისიათი.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**<br><br>**რჩევა:** სასურველია სკოლამ მეტად გაითვალისწინოს სამიზნე ცნებები შეფასების რუბრიკების შედგენისას. |

| | |
|---|---|
| სპორტი | მოსწავლეთა ცოდნის კონსტრუირების და შეძენილი ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის განმსაზღვრელია მოსწავლის შეფასება. მასწავლებელი ითვალისწინებს სტანდარტით განსაზღვრულ მიზნებს, მისაღწევ შედეგებს და აქიდან გამომდინარე აკეთებს უკუკავშირს, რომელიც ძირითადად სწავლის პროცესის გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე, უკუკავშირის გაცემა ძირითადად ვერბალურად და განმავითარებელი კომენტარის სახით განხორციელდა, მათ აქვთ მზაობა ახალი კურიკულუმების დანერგვის პროცესში თემების მიხედვით შეიქმნან ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რის შემუშავებაშიც ასევე აქტიურად იქნებიან ჩართულნი მოსწავლეებიც.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| ტექნოლოგიები | სკოლის მიერ წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები , რომლებიც ეფუძნება სტანდარტის მოთხოვნებს. წარმოდგენილი რუბრიკები არის ზოგადი ხასიათის და საჭიროებს დაზუსტებას. მასწავლებელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა რომ იყენებს სხვადასხვა შეფასების რუბრიკებს, რომელიც მოსწავლეებისათვის წინასწარ არის ცნობილი.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**<br><br>**რჩევა:** სასურველია, კომპიუტერულ ტექნოლოგიებში შემუშავდეს სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები, მკაფიოდ და დეტალურად ფორმულირებული კრიტერიუმებით, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის მეტ სიცხადეს, ობიექტურობასა და შედეგებზე ორიენტირებულობას. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი კათედრის შეფასების სისტემა ძირითადად ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. თუმცა, წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში ხშირად ზოგადი კრიტერიუმებია.<br>კათედრას მიეცა რეკომენდაცია, შეფასების რუბრიკების შემუშავებისას დაეყრდნონ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ინდიკატორებსა და კონკრეტული დავალების სპეციფიკას. |

| | |
|---|---|
| | მნიშვნელოვანია, შეფასების კრიტერიუმები იყოს პერსონალიზებული, მოსწავლისთვის ადვილად აღსაქმელი და პირდაპირ მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებს .არსებულ შეფასების სქემებში მკაფიოდ უნდა აისახოს კავშირი კონკრეტულ თემასა და საგნობრივ სტანდარტს შორის, რათა ვალიდურად გაიზომოს მოსწავლის მიღწევის დონე.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026
საგნობრივი კურიკულუმები
ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| | | |
|---|---|---|
| | | |

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

## 2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | კურიკულუმში გაწერილი თემის თუ ძირითადი საკითხებისთვის დათმობილი საათების რაოდენობა შეესაბამება სასწავლო საგნის საათობრივი დატვირთვას და სემესტრული განაწილებას. სასწავლო პროცესში განხორციელებული აქტივობები და გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები დაგეგმილი კურიკულუმის შესაბამისია.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. იგი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს; თითოეულ კურიკულუმში განსაზღვრულია სავალდებულო თემები და საკითხთა ჩამონათვალი. ხშირად, კურიკულუმებში არ ჩანს სასწავლო მიზნები, ამოცანები და შედეგები კონკრეტული საგნის, კლასისა და საფეხურის მიხედვით. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, თუ რა შედეგებს მიაღწიეს, კონკრეტული საკითხების სწავლებისას. ყვებოდნენ განხორციელებული შემოქმედებითი ტიპის დავალებების, თუ პროექტების შესახებ.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დამაკმაყოფილებელია.**<br>**რჩევა.** სასურველია, თითოეული სავალდებული თემის დასრულების შემდგომ, კათედრის წევრებმა, უფრო მეტად გაუზიარონ ერთმანეთს განხორციელებული დავალებების შედეგები და მეტი სიხშირით ასახონ კურიკულუმებში ის დაზუსტებები, რომელიც თითოეული საკითხის სწავლებისას გამოიკვეთა. |

| | |
|---|---|
| უცხოური ენები | უცხოური ენის კათედრამ წარმოადგინა: კათედრის სამოქმედო გეგმა, საფეხურების მიხედვით შემუშავებული კურიკულუმები ინგლისურ და რუსულ ენებში, შეფასების მასალები, ისგ გეგმები, განხორციელებული შემაჯამებლის ანალიზისა და განმავითარებელი შეფასების ნიმუშები, სამივე საფეხურზე განხორციელებული შემოქმედებითი დავალების მასალები (შუალედური მიზანი, შეფასება, მოსწავლის ნამუშევრები, მასწავლებლების რეფლექსიები) რუსულის მასწავლებლის მიერ V-XII კლ.–ის კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესის ამსახველი ანალიზი და თვითრეფლექსია, ურთიერთდასწრების მასალები.<br>უცხოური ენის კათედრა წინასწარ თანხმდება შესასრულებელი დავალების რაოდენობაზე და შინაარსზე, ეს პროცესი ასახულია კათედრის მიერ მოწოდებულ ოქმშიც. მასწავლებლები ახდენენ ჩატარებული სამუშაოს რეფლექსიას.<br>წარმოდგენილი მასალები ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, მასწავლებლები მუდმივად ზრუნავენ მათ მიერ ჩატარებული სამუშაოების ხარისხის მონიტორინგზე, ახდენენ თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებასა და შეფასებას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მდგრადობასა და მოქნილობას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**<br><br>**სასურველია;** <u>სამივე საფეხურზე,</u> რუსულ ენაში, გაიწეროს 1–2 ან 3 გაკვეთილზე მეტი დრო კომპლექსური დავალებებისათვის, რაც შესაძლოა მოიცავდეს პერიოდს; შესასწავლი თემის წარდგენიდან საბოლოო პრეზენტაციისა და შეფასების ჩათვლით. ეს გაახანგრძლივებს შემოქმედებითი ტიპის დავალებაზე მუშაობისათვის დათმობილ საგაკვეთილო საათებს და გაზრდის საკითხის სიღრმისეული დაუფლებისა და მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდების პრაქტიკულად გამოცდის შესაძლებლობას სასწავლო პროცესში. |
| ესთეტიკური აღზრდა | **მუსიკა/ხელოვნება:** ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ წარმოდგნილი დოკუმენტაცია მეტყველებს იმაზე, რომ სასწავლო პროცესი სამივე საფეხურზე დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. სკოლას ამის მხარდამჭერად აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს კურიკულუმის დაგეგმვასაც. პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ სკოლაში კურიკულუმის დაგეგმვისას მაქსიმალურადაა გათვალისწინებული მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები. პედაგოგები მუდმივად თანამშროლობენ ერთმანეთთან, უწევენ რევიზიას და საჭიროების მიხედვით აკორექტირებენ კურიკულუმს.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| სახელმწიფო ენა | სკოლაში სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და ინტერვიუს საფუძველზე გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რომელსაც მასწავლებლები წლის დასაწყისში კათედრაზე შეიმუშავებენ.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| მათემატიკა | სწავლების სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. ორიენტირებულია მოსწავლის საჭიროებაზე და ინტერესებზე<br>სასწავლო პროცესი ეფუძვნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებსა და მიზნებს. კოლეგებთან ინტერვიუშიც და სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებიდანაც ჩანს, რომ მუშაობენ სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებსა მიდგომებზე.<br>სკოლაში ფუნქციონირებს მათემატიკური კლუბი და საკმაოდ აქტიურად ხორციელდება სხვადასხვა პროექტები. წარმოდგენილ მასალებში დეტალურად არის განხილული პროექტის და კლუბის მუშაობის მასალები.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| სპორტი | საგნობრივი კურიკულუმი მიემართება სამიზნე ცნებებს და ემსახურება მკვიდრი წარმოდგენების გააზრებას. წარმოდგენილია ასევე კომპლექსური დავალებების ნიმუშები და/ან პირობები. საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს, სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზების და ურთიერთდაკავშირების საშუალებას იძლევა. წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვლილი თემები, მოსწავლეს ხელს შეუწყობს საგნობრივი საკითხების გააზრებაში. ხოლო კომპლექსური დავალებები მოსწავლეს დაეხმარება პრობლემის გადაჭრაში, გამოწვევასთან გამკლავებაში, პროდუქტის შექმნაში, სხვისი მოსაზრებების გათვალისწინებასა და ყველა გამოცდილების მობილიზებაში, გამომდინარე აქედან სასწავლო პროცესი დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |

| | |
|---|---|
| ტექნოლოგიები | კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ძირითადად დაგეგმილია და მიმდინრეობს შემუშავებული კურიკულუმის შესაბამისად. მასწავლებელი აკვირდება პროცესს და მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე მოდიფიცირებას უკეთებენ სასწავლო პროგრამას. შესაბამისი ცვლილებები შეაქვთ კურიკულუმშიც. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე, გაკვეთილის გეგმებსა და სხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ასევე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, მთელი სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

## 2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლა ცდილობს საგანმანათლებლო პროცესის გაანალიზებას და ოპტიმიზაციას გარემოებისა და დაინტერესებული მხარეების საჭიროებებზე მორგებით. არსებული პრაქტიკა ადასტურებს, რომ მოსწავლეთა, მშობლებისა და პედაგოგიური გუნდის მხრიდან გამოვლენილ საჭიროებებზე სკოლა დროულად რეაგირებს. ამის მაგალითია, როგორც ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შეთავაზება კონკრეტული აკადემიური ან სოციალურ-ემოციური საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის, ასევე მასწავლებელთა შორის გადანაწილების ან საათობრივი განრიგის კორექტირება სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

სკოლა აქტიურად იყენებს უკუკავშირის მექანიზმებს (კონსულტაციები, პედაგოგიური საბჭოს სხდომები, მშობელთა შეკრებები), რაც უზრუნველყოფს საჭიროებების დროულად იდენტიფიცირებას. გადაწყვეტილებები, როგორც წესი, ეფუძნება მონაცემებს და მიღებული გადაწყვეტილებების შეფასებაც ხდება შესაბამისი ანალიზის საფუძველზე. საგანგებო შემთხვევებში (მაგალითად, ტექნიკური შეფერხება, ქცევითი ინციდენტები ან დროებითი დისტანციური სწავლება), სკოლამ არაერთხელ აჩვენა ორგანიზაციული მოქნილობა და ოპერატიულობა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სკოლა გამოირჩევა ადაპტაციისა და განვითარებაზე ორიენტირებული მიდგომით, რაც უზრუნველყოფს ხარისხიან და ინკლუზიურ საგანმანათლებლო გარემოს.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

### 3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | მოსწავლეებისთვის მკაფიოა  რა ცოდნის და უნარების წარმოჩინებაა საჭირო კონკრეტული სწავლის შედეგების მისაღწევად, მოსწავლეებისა და მშობლებისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების კრიტერიუმებისა და ნიშნების დაანგარიშების წესის შესახებ, მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება გამოავლინონ ცოდნა და უნარები მრავალფეროვან კონტექსტში, რუბრიკები მოიცავს მკაფიო და საგნობრივი სტანდარტის მიხედვით მისაღწევ შედეგებთან დაკავშირებულ კრიტერიუმებს.<br>სკოლაში მოქმედებს ვერიფიკაციის მექანიზმი.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | პედაგოგები მოსწავლეთა ცოდნის შესაფასებლად იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების როგორც ზოგად, ასევე კონკრეტული შემოქმედებითი დავალებისთვის შექმნილ რუბრიკებს, რომლებიც  ერთობლივი თანამშრომლობით არის შექმნილი. მოსწავლეებმა წინასწარ იციან რა მოლოდინები აქვთ პედაგოგებს მათ მიმართ და რისი ცოდნა მოეთხოვებათ კონკრეტულ სამიზნე ცნებასთან დაკავშირებით.  სანიმუშოდ წარმოდგენილი შეფასების სქემები გვაფიქრებინებს, რომ სკოლაში შეფასების სისტემა არის  ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დამაკმაყოფილებელია.** |
| უცხოური ენები | უცხოური ენის კათედრა უმეტესად სარგებლობს ჰოლისტური და ანალიტიკური რუბრიკებით, როგორც განსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასებისას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |

| | |
|---|---|
| | **სასურველია;** <u>სამივე საფეხურისათვის,</u> კათედრამ შეიმუშაოს შუალედურ მიზანზე მორგებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ანალიზური რუბრიკები, სადაც გაწერილი იქნება შემოქმედებით დავალებაზე მუშაობის ეტაპებზე მასწავლებლის მზარდი მოლოდინები და გაამარტივებს შემოქმედებით დავალებაზე მუშაობის პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| ესთეტიკური აღზრდა | **მუსიკა/ხელოვნება:** სკოლას აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების დოკუმენტები. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, გაწერილია კრიტერიუმები, რომელიც მორგებულია თემებზე და ცნებებზე. წარმოდგენილ მასალაში ვხვდებით კომპლექსური ტიპის დავალებებს მოსწავლეთა ნანუშევრების ნიმუშებით და შეფასების რუბრიკით. ამ ყველაფრის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში წარმატებით ხორციელდება შეფასება.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სასწავლო პროცესში იყენებენ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს, რომლებიც მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას ემსახურება. ასევე იყენებენ თვითშეფასებისა და ურთიერშეფასების ფორმებს. მასწავლებელი მოსწავლეთა მიღწევებს ობიექტურად, წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით აფასებს. ეს კი გამორიცხავს სუბიექტურობას და უზრუნველყოფს სამართლიან გარემოს ყველა მოსწავლისთვის.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| მათემატიკა | სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა უზრუნველფოფს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ცოდნისა და უნარების ობიექტურ და თანმიმდევრულ შეფასებას. შეფასების რუბრიკები უმეტესად არის ზოგადი ხასიათის. შეფასება არის ვალიდური, სანდო.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |

| | |
|---|---|
| სპორტი | სკოლის მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, სისტემის გამჭვირვალობას და ობიექტურობას ადასტურებს ის გარემოება, რომ მასწავლებლები შეფასების რუბრიკებს წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ სრულყოფილი ინფორმაცია იმ შეფასების კრიტერიუმების შესახებ, რითაც ისინი შეფასდებიან სპორტული აქტივობების დროს, ეს ყოველივე საშუალებას მისცემს მოსწავლეებს უფრო ორგანიზებულად და მონდომებით შეასრულონ აქტივობები. შეფასების სისტემა ასევე აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმით და იგი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| ტექნოლოგიები | სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკის ნიმუშები რომელიც ეყრდნობა საგნის სტანდარტით გათვალისწინებულ მიღწევის ინდიკატორებს. წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე და მასწავლებელთან ინტერვიუს შედეგად ნათელია, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის: ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო , ობიექტური და სამართლიანი.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | შეფასების პროცესი ეფუძნება სხვადასხვა ეტაპზე სასწავლო აქტივობებზე დაკვირვებას, რაც ხელს უწყობს პროცესის სანდოობას. სისტემა მიმართულია გრძელვადიან მიზნებსა და სამიზნე ცნებებზე, თუმცა ვალიდურობის კიდევ უფრო გაზრდის მიზნით, მიმდინარეობს მუშაობა კრიტერიუმების კონკრეტულ დავალებებთან უკეთ თავსებადობაზე.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლაში ფუნქციონირების  შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლა სამივე საფეხურზე შეფასების პირველ მოდელს იყენებს. სამკომპონენტიანი შეფასებისთვის მნიშვნელოვანია მოქმედ სტანდარტთან შესაბამისი რუბრიკების შექმნა და გამოყენება სასწავლო პროცესში. სკოლამ წარმოადგინა, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად შექმნილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელსაც იყენებდნენ 2025-2026 სასწავლო წელს შეფასებისათვის და სწავლის შედეგების გაზომვისა და  გაანალიზების მიზნით. სკოლამ წარმოადგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი. დოკუმენტი წარმოდგენილია ცხრილის სახით და აღწერილია პროცედურები თითქმის ყველა საგნის ფარგლებში, რაც საინტერესო პრაქტიკაა. სკოლა ამჟამადაც მუშაობს ამ დოკუმენტის დახვეწაზე. საგნობრივი კათედრების წევრები კი აანონსებენ, რომ  კათედრის სხდომებზე განხილავენ შეფასების სისტემის (ან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების) გამჭვირვალობის, ვალიდურობის, ობიექტურობისა და სანდოობის საკითხს და ამ დისკუსიის შედეგად დახვეწენ შეფასების ინსტრუმენტებს.  საერთო შეფასებით, მათ აქვთ მზაობა, რომ მოსწავლეთა შეფასებების საშუალებით გამოიყენონ მოსწავლის შედეგების,  სწავლის პროცესის დინამიკის ანალიზი  და აწარმოონ სტატისტიკური შეფასებაც, რომლებიც ტიპური ვერიფიკაციის მეთოდებია.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი.  შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების და მტკიცებულებების აღრიცხვა - შენახვა ხორციელდება კანონით გათვალისწინებული ვადების ფარგლებში. სკოლაში ინახება მოსწავლეთა პირადი საქმეები, სადაც კლასის დამრიგებლებს შეაქვთ მოსწავლეთა წლიური შეფასებები და სხვადასხვა ცნობები. მათზე პასუხისმგებლობა ეკისრება საქმის მწარმოებელს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ყველა თანამშრომელი იცავს დოკუმენტის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციებს და აწვდის ყველა მოთხოვნილ მონაცემს ადმინისტრაციას. სკოლა ინახავს კანონით განსაზღვრული ვადით არსებულ მონაცემებს.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026;**
- **საგნობრივი პროგრამების კურიკულუმის ჩარჩოები საფეხურების მიხედვით;**

- კათედრის ოქმები;
- პირველი სემესტრის კათედრის შემაჯამებელი ოქმები;
- კომპლექსური დავალების დაგეგმვა-განხორციელების ამსახველი დანართები;
- სასწავლო პროცესის შეფასება-თვითშეფასება;
- მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირება;
- სოლო ტაქსონომიით შეფასების რუბრიკები;
- შეფასების ვერიფიკაცია;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტები;
- სკოლის ელექტრონული ჟურნალი;
- მოსწავლეთა პირადი საქმეები.

### 2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სასწავლო პროცესში განხორციელებულ აქტივობებში გამოიყენება დაგეგმილი, კურიკულუმში გაწერილი ძირითადი და დამხმარე (ელექტრონული თუ მატერიალური) საგანმანათლებლო რესურსები.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე, სხვა დამხმარე რესურსი. კერძოდ, ელექტრონული რესურსები, ვიდეო რესურსები, სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმები, რუკები, პოსტერები, პლაკატები, რაც დადასტურდა წარმოდგენილი კურიკულუმებითა და პედაგოგებთან გასაუბრებით.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დამაკმაყოფილებელია.** |
| უცხოური ენები | უცხოური ენის კათედრამ წარმოადგინა „გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა“, ასევე კურიკულუმებს ახლავს დამხმარე რესურსები ელექტრონული ბმულების სახით. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| ესთეტიკური აღზრდა | **მუსიკა/ხელოვნება:** სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსები. სხვადასხვა თემების სწავლებისას მასწავლებლები ეფექტურად ახდენენ სახელმძღვანელოსა და დამატებითი წყაროების ინტეგრირებას, კურიკულუმებში მრავლადაა ჩაშენებული ლინკები, რომლებიც მოქმედია და დაკავშირებულია სამიზნე ცნებებთან და საკითხებთან. ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა მხრიდან საკითხის მრავალმხრივ გააზრებას. რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით და პირდაპირ ემსახურება კომპლექსური დავალებების წარმატებით შესრულებასა და სწავლის შედეგების მიღწევას.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია მრავალფეროვანი და მიზნობრივად შერჩეული რესურსებით, რომლებიც შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და სასწავლო მიზნებს.<br><br>გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე დამატებითი ტექსტები, ელექტრონული რესურსები, ილუსტრაციები, სქემები, ბარათები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობასა და სწავლის შედეგების მიღწევას. მოსწავლეები მონაწილეობენ რესურსების შექმნაში.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| მათემატიკა | სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში და და დოკუმენტებში ასახულია სხვადასხვა რესურსები, ძირითადად სახელმძღვანელო და სხვადასხვა ელექტრონული რესურსი. როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს მოსწავლეებს აქტიურად აწვდიან სხვადასხვა ელ.რესურსებს რათა საკითხი და თემა სიღრმისეულად გაიაზრონ. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| სპორტი | კურიკულუმის გაცნობის და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები სრულად გამოიყენება სასწავლო პროცესში, სკოლას აქვს საკმარისი სპორტული ინვენტარი და გამართული ინფრასტრუქტურა, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობდეს დაუბრკოლებლად.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| ტექნოლოგიები | კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში. სკოლაში არის საკმარისი მატერიალური რესურსი კომპიუტერული ლაბორატორია.რაც იძლევა  კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობების განხორციელების  საშუალებას<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | როგორც კურიკულუმების ანალიზით, ისე ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება მრავალფეროვანი (მატერიალური და ციფრული) რესურსები. აღნიშნული უზრუნველყოფს მოსწავლეთა მაღალ ჩართულობას და ხელს უწყობს სასწავლო საკითხების სიღრმისეულ გააზრებას<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

## 2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | კათედრაზე განიხილება დამხმარე სასწავლო რესურსის(ელექტრონული თუ მატერიალური) მიზნობრივი შერჩევის საკითხი. დამხმარე სასწავლო რესურსი  უნდა შეესაბამებოდეს ესგ-ს  და |

| | |
|---|---|
| | კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებს, ეხმარებოდეს მოსწავლეებს სწავლის შედეგების მიღწევაში, უნარებისა და კომპეტენციების განვითარებაში.კათედრაზე მიიღება შეთანხმებული გადაწყვეტილება. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლა როგორც სასწავლო წლის დასაწყისში, ასევე წლის ბოლოს ახდენს დამხმარე რესურსის შერჩევას, გადამოწმებასა და დამტკიცებას. კათედრაზე რესურსები მოწმდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება ისინი ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და ასაკობრივ თავისებურებებს. ვალიდაციას ახორციელებს საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელთა ჯგუფი და ადმინისტრაცია. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს სწავლის ხარისხის ამაღლებას და თანმიმდევრულობას სასწავლო პროცესში.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დამაკმაყოფილებელია.** |
| უცხოური ენები | სამივე საფეხურის კურიკულუმებს ახლავს დამხმარე რესურსები, რომელთა ვალიდაციაც ხდება კათედრაზე სასწავლო გეგმის დამტკიცებისას.<br>ასევე; სკოლაში ფუნქციონირებს ინგლისურენოვანი მხატვრული ლიტერატურის კუთხე, სადაც მოსწავლეები ეცნობიან სხვადასხვა ავტორებს, მიაქვთ წიგნები სახლში, კითხულობენ და შემდგომ ერთვებიან განხილვებში. ეს აქტივობა ხელს უწყობს ინგლისური ენის პრაქტიკულ და მიზნობრივ გამოყენებას, ავითარებს კითხვის უნარებს, ზრდის მოსწავლეთა მოტივაციასა და ინტერესს ინგლისური ენის დაუფლების მიმართულებით.**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**<br><br>**სასურველია:** ინგლისურენოვანი მხატვრული ლიტერატურის კუთხის (“უცხოენოვანი წიგნების დამხმარე რესურსი«) შესახებ ზეპირად მოწოდებული ინფორმაცია კათედრამ გარდაქმნას არაფორმალურ აქტივობად და/ან საკლუბო სამუშაოს სახით გაწეროს სამოქმედო გეგმაში, სურვილისამებრ. ეს უზრუნველყოფს სკოლაში არსებული დამხმარე რესურსის ვალიდაციას კათედრის მიერ. |
| ესთეტიკური აღზრდა | **მუსიკა/ხელოვნება:** დამხმარე სასწავლო რესურსები გამომდინარეობს საგნობრივი კურიკულუმებიდან, ემსახურება გრძელვადიან მიზნებს და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას. ესთეტიკური აღზრდის კათედრის ოქმში განსახილველ საკითხად წარმოდგენილი აქვთ სასწავლო რესურსების შერჩევა. დამხმარე სასწავლო რესურსებში გათვალისწინებულია საგნობრივი სპეციფიკა, |

| | |
|---|---|
| | რაც ხელს უწყობს გრძელვადიანი მიზნების შესრულებას. ასაკობრივად გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სამივე საფეხურზე საგნობრივ კათედრებზე შერჩეულ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე. დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე. გამოიყენება ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| მათემატიკა | სკოლაშიგამოიყენება როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. შფსების სისტემა შემუშავებულია და გააზრებულია სასკოლოსაზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკების შეთანხმება ხდება კათედრაზე.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| სპორტი | სკოლას არ წარმოუდგენია კონკრეტული დოკუმენტი ვალიდაციის პროცესის, თუმცა გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ მუდმივად ხდება კათედრის სხდომაზე წევრებს შორის დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდურობის შეფასება, ასევე აღინიშნა მზაობა დოკუმენტაციის შექმნის შესახებ.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| ტექნოლოგიები | დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს. კათედრაზე მასწავლებლები ერთობლივად თანხმდებიან , რომელ რესურს გამოიყენებენ. შერჩეული რესურსები არის სასწავლო პროგრამის მიზნობრიობიდან გამომდინარე. არის მრავალფეროვანი და ხელს უწყობს სწავლა- სწავლების პროცესის ეფექტურად წარმართვას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | კურიკულუმებში გამოყენებული სასწავლო რესურსები ეფუძნება განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს. რესურსების შერჩევის |

| | |
|---|---|
| | პროცესი მიმდინარეობს გააზრებულად, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით. ძირითად რესურსთან ერთად, აქტიურად გამოიყენება დამხმარე ციფრული და თვალსაჩინო მასალები, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მრავალფეროვნებას.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

### 3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | არსებული მდგომარეობით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ექსპერიმენტული ნაწილის განსახორციელებლად საჭირო რესურსების(ქიმიური ჭურჭლის,რეაქტივების) მწირი რაოდენობა ინახება საპრეპარატორო ოთახში, ცალკე, დაცულ კარადებში.თუმცა, სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, გამწოვი კარადა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ძირითადად შესაძლებელია მარტივი სადემონსტრაციო ექსპერიმენტების განხორციელება ბუნებრივვენტილაციაზე,ასევე პროექტორის დახმარებით სხვადასხვა ექსპერიმენტების ჩვენება. უნდა აღინიშნოს, რომ მომდევნო სასწავლო წლიდან სკოლა გადადის ახალაშენებულ, დასრულებულ შენობაში, რომლის ინფრასტრუქტურა ითვალისწინებს სრულად აღჭურვილ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებს გამწობებით და სველი წერტილებით .<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია**<br><br>**რეკომენდაცია:** სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმის მიხედვით, უზრუნველყოს სტანდარტების შესაბამისი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა სათანადო |

| | |
|---|---|
| | აღჭურვილობით, გამწოვებით და სველი წერტილებით. ( საბაზო-საშუალო საფეხური) 2026 წლის 20 დეკემბრამდე. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, რომელიც სკოლის სხვადასხვა სარგებლობის სივრცეებშია განთავსებული და გამოყენება საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით სამივე საფეხურზე. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი მოიცავს როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ისე დამხმარე სახელმძღვანელოებს. ასევე სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება გეოგრაფიული და ისტორიული რუკები. სკოლა, განსაკუთრებულად ელოდება, ახალ შენობას, რომელიც სულ მალე სრულდება და თანამედროვე ინფრასტრუქტურა, კიდევ უფრო მეტად დაეხმარებათ საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებასა და სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მიღწევაში.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დამაკმაყოფილებელია.** |
| უცხოური ენები | უცხოური ენების გაკვეთილები ტარდება საკლასო ოთახებში. სასწავლო პროცესში გამოიყენება; სახელმძღვანელოები, ფლეშქარდები, აუდიო მასალა, ინტერნეტში მოძიებული ფილმები, ფერადი ფურცლები, მარკერები, ფორმატის ქაღალდები, დაფა და ცარცი. სკოლის მატერიალური რესურსი უცხოური ენის მასწავლებლებისა და ყველა მოსწავლისთვის ხელმისაწვდომია.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| ესთეტიკური აღზრდა | **მუსიკა/ხელოვნება:** ესთეტიკური კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების, ფოტომასალის, ისვ გეგმების, კომპლექსური ტიპის დავალებების და სკოლის მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა სახის დოკუმენტაციის საფუძველზე, შესაძლოა დავასკვნათ რომ სკოლაში სამივე საფეხურის ყველა მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს სკოლის მიერ შეთავაზებული აქტივობებით.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალური რესურსებით. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, ყველა მოსწავლე დატვირთულია მრავალფეროვანი აქტივობებით, სწავლების პროცესში ხელმისაწვდომია |

| | |
|---|---|
| | საჭირო რესურსები, რომლებიც ეფექტიანად გამოიყენება და ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობასა და შედეგების მიღწევას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| მათემატიკა | კურიკულუმების მიხედვით, ძირითადი მატერიალური რესურსი არის სახელმძღვანელოები ასევე სხვადასხვა საშუალებები. სკოლას აქვს საშუალება უზრუნველყოს მოსწავლეები პროექტორით, პრინტერებით და კომპიუტერებით, რაც იძლევა დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენების საშუალებას.<br>პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება ღონისძიებებისა და სხვადასხვა პროექტების განხორციელებისათვის, ინფორმაციის მოძიებისთვის. საგანმანათლებლო მიზნებისთვის სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის საშუალება აქვთ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |
| სპორტი | სკოლის ახალ შენობაში თითქმის დასრულებულია ღია და დახურული სპორტული ინფრასტრუქტურა. სკოლას, ამჟამად, კი აქვს შესაბამისი სპორტული ინვენტარი, რაც პედაგოგებს უწყობს ხელს დაუბრკოლებლად განახორციელონ საგაკვეთილო-სასწავლო პროცესი, მაგრამ სრულყოფილი სწავლებისათვის საჭიროა სპორტული ინფრასტრუქტურის დასრულება ახალ შენობაში.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**<br>სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმის მიხედვით, უზრუნველყოს სტანდარტების შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა სათანადო აღჭურვილობით (დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხური) 2026 წლის 20 დეკემბრამდე. |
| ტექნოლოგიები | სკოლის ძველ შენობაში არის მატერიალური რესურსი - კომპიუტერული ლაბორატორია, მომავლის კლასი, რომელიც აკმაყოფილებს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის |

| | |
|---|---|
| | შედეგების მიღწევის მოთხოვნას. უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით კომპიუტერი, პროექტორი და სხვა, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას. მაგრამ სკოლის ახალ შენობაში ჯერ არ არის მოწყობილი კომპიუტერული ლაბორატორია და ჯერ არ არის აღჭურვილი შესაბამისი რესურსით. **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**<br>სკოლას მიეცა **რეკომენდაცია,** შესაბამისობის გეგმის მიხედვით, უზრუნველყოს სტანდარტების შესაბამისი კომპიურერული ლაბორატორიის მოწყობა სათანადო აღჭურვილობით ( დაწყებითი საფეხური) 2026 წლის 20 დეკემბრამდე. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სასწავლო გარემოს დათვალიერების საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლის მატერიალური ბაზა და ინფრასტრუქტურა სრულად შეესაბამება მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას. არსებული რესურსები უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტურ რეალიზებას უსაფრთხო და მოწესრიგებულ გარემოში.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** |

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სსიპ დაბა ადიგენის საჯარო სკოლაში დასაქმებულია 24 მასწავლებელი და 1 სპეც. მასწავლებელი. სკოლაში მუშაობს 19 უფროსი, 4 წამყვანი, 1 მენტორი მასწავლებელი. სკოლის პერსონალი შერჩეულია კანონმდებლობისა და სკოლის მართვის პოლიტიკის შესაბამისად. სკოლაში დასაქმებული მასწავლებლებიდან ყველას აქვს დადასტურებული კომპეტენცია და არის კვალიფიციური კადრი. სკოლას ჰყავს 1 სპეც. მასწავლებელი, რომელსაც აქვს დადასტურებული კომპეტენცია. მასწავლებლებთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026;**
- **საგნობრივი პროგრამების კურიკულუმის ჩარჩოები საფეხურების მიხედვით;**
- **შრომითი ხელშეკრულებები;**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

### 2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**
   სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია როგორ და რა საშუალებებით ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის შემუშავების ეტაპები და პროცედურები, აღწერილია კურიკულუმის სარეკომენდაციო სტრუქტურა, მის განვითარებაზე პასუხისმგებული პირები, როგორ მიმდინარეობს კურიკულუმის მონიტორინგი, შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. მოსწავლეთა მიღწევების ანალიზის საფუძველზე მასწავლებლის პედაგოგიკური პრაქტიკის ძლიერი და სუსტი

მხარეების შესწავლა და იდენტიფიცირება, რაც კურიკულუმის განვითარების საფუძველი იქნება. სკოლამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც ასახულია სასკოლო საზოგადოების მზაობა პერიოდულად მოახდინონ მონიტორინგი და შეფასება. გარდა ამისა, ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ პედაგოგები კურიკულუმის განვითარებას მოიაზრებენ ციკლურ პროცესად და განიხილავენ მას სასწავლო პროცესის თანმდევ ნაწილად. კურიკულუმის განვითარება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობის რეჟიმში ხდება. ამ პროცესში რეალური მონაწილეობა გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებასა და კონსულტირებას, არამედ ინტენსიურ თანამშრომლობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას. მასწავლებლები აპირებენ, რომ ამ დოკუმენტის მიხედვით მოახდინონ კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები განხორციელებული შემოქმედებითი დავალებელის რევიზიის დროს გამოკვეთენ გამოვლენილ პრობლემებს და თანამშრომლობით გამოიკვლევენ მათი გადაჭრის გზებს, რასაც სამომავლოდ ასახავენ შესაბამისი დოკუმენტაციით. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ზოგადია და ესაჭიროება, მეტად მოერგოს სკოლის სპეციფიკას. სკოლამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც იკვეთება საკვანძო საკითხები სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და შეფასებასთან მიმართებით. გარდა ამისა, მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ სწორი ხედვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, ისინი აპირებენ მონიტორინგის და შეფასების შედეგად მიღებული მასალა გამოიყენონ პრობლემების იდენტიფიცირებისა და მისი ეფექტურად გადაჭრისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

მონიტორინგის მიზანს სამივე საფეხურზე წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების წევრების დახმარება და მხარდაჭერა. სკოლაში დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილია ხარისხის განვითარებისა და მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს დამტკიცებული დებულების მიხედვით. თითოეული წარმოდგენილი ჯგუფი ახდენს საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებას და შედეგების ანალიზს, დაკვირვების შედეგები განიხილება მასწავლებელთან ერთად და გაიცემა რეკომენდაციები მათი შესაძლებლობების გასაძლიერებლად. პროცესში ჩართულნი არიან სკოლის დირექტორი, საგნობრივი კათედრები. კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და გასცემენ

განვითარებაზე ორიენტირებულ, არგუმენტირებულ უკუკავშირს. მასწავლებელთა ინტერვიუებით დასტურდება, რომ მონიტორინგის და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია როგორც მხარდამჭერი მექანიზმი. ისინი ცდილობენ ისწავლონ წარსულ გამოცდილებაზე და გააუმჯობესონ სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა, ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა. მონიტორინგსა და შეფასებას საკუთარ საქმიანობაზე. მასწავლებლები თავად ახორციელებენ, გაკვეთილზე ურთიერთდასწრებით. მიღებული უკუკავშირის შედეგად ყურადღებას ამახვილებენ იმ საკითხებზე, რომლებიც ეხმარება ასახონ გაუმჯობესების გზები და ეხმარება პრობლემის გადაჭრაში. ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ საკუთარი პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით პედაგოგები, კათედრის წევრები ხშირად ხვდებიან ერთმანეთს, განიხილავენ ჩატარებულ გაკვეთილებს, შემაჯამებელ დავალებებს, მოსწავლეთა ნამუშევრებს. გამოკვეთენ პრობლემურ საკითხებს და ამ პროცესზე დაყრდნობით ცდილობენ გააუმჯობესონ სასწავლო პროცესის ხარისხი.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ურთიერთდასწრების ამსახველი დოკუმენტაცია;
- კათედრის ოქმები;
- მასწავლებელთა რეფლექსიები.

## 2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს.**

სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს; შეფასების ჰოლისტური ხასიათიდან გამომდინარე გამოიყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს -კითხვარებს, ინტერვიუებს სასკოლო წარმომადგენლებიდან (მშობელი, მოსწავლე , მასწავლებელი, სხვა დაინტერესებული პირი), თუ რესურსებს, რათა მიიღონ სრული და რეალური სურათი.
გათვალსიწინებულია შემდეგი შეფასების მეთოდები და ინსტრუმენტები:

- კვლევა
- დაკვირვება

- ინტერვიუ
- SWOT ანალიზი

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

### 2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

სკოლის გამოცდილებაში არის მონიტორინგის და შეფასების განხორციელების გზები. მონიტორინგი და შეფასება საუკეთესო საშუალებაა პრობლემის იდეტიფიცირების, წარმატების გაზომვის და შეცდომებზე დაფუძნებული სწავლისთვის. ამისთვის ადმინისტრაცია თვლის, რომ იქნებიან ანგარიშვალდებულნი სასკოლო საზოგადოების წინაშე: გაანალიზებენ წარსულ გამოცდილებას, მიღწევებს და გააკეთებენ ანალიზს ახალი შესაძლებლობებისათვის სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისთვის და დახმარებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

### 3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას განაპირობებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა, რასაც კონტექსტი განსაზღვრავს. ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ სამივე საფეხურზე კათედრები აუცილებლად გაითვალისწინებენ აღნიშნულ საკითხს მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს.
მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს მზაობა, რომ შეფასება განახორციელოს მრავალი სხვადასხვა კონტექსტის გამოყენებით, რაც იძლევა მოსწავლის შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით, მისი მრავალმხრივი შეფასების შესაძლებლობას. ასევე, მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნას არაფორმალური განათლების ფარგლებშიც, განხორციელებულ პროექტებში მიღებული შედეგები და გავლენა კურიკულუმების განხორციელების ხარისხზე. განმავითარებელი შეფასების მონაცემები, როგორც მასწავლებლის საქმიანობის გაუმჯობესებისა და კურიკულუმის დაგეგმვის საფუძველი.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

### 4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

კათედრის წევრებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს ხედვის სხვადასხვა პერსპექტივას, მოსწავლეზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. შეფასებისას გათვალისწინებული და გამოყენებულია

კონსტრუქტივიზმის პრინციპები და დიფერენცირებული მიდგომის მეთოდები. გასაუბრებისას გამოიკვეთა კათედრის წევრთა მზაობა ურთიერთდაკავშირებულად, სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით მოახდინოს დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს, არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ ფაქტორთა მთელი რიგი სხვადასხვა სისტემებიდან: ოჯახი, ჯანდაცვა, ფასეულობები, ტრადიციები და ა. შ.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026;
- საგნობრივი პროგრამების კურიკულუმის ჩარჩოები საფეხურების მიხედვით;
- კათედრის ოქმები;
- პირველი სემესტრის კათედრის შემაჯამებელი ოქმები;
- სასწავლო პროცესის შეფასება-თვითშეფასება;
- სსსმ  მოსწავლის შედეგების კომპლექსური ანალიზი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|

| | | |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## 2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

## 2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

   კურიკულუმის განვითარების პროცესი დაეფუძნება მუდმივ შესწავლასა და რეფლექსიას დასახული მიზნის მიღწევისა და პროცესების გაუმჯობესების თვალსაზრისით. მასწავლებლები ურთიერდასწრების და თანამშრომლობის საფუძველზე შეიმუშავებენ სარეკომენდაციო პაკეტს თუ როგორ გამოიყენებენ დაგროვილ გამოცდილებას კურიკულუმის გაუმჯობესების მიზნით. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ზოგადი ტიპისაა, თუმცა გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრას აქვს მზაობა, რომ მოახდინონ მიმდინარე პროცესების მუდმივი შესწავლა და რეფლექსია მათზე. შესაბამისად, მათ შეუძლიათ ძალისხმევა მიმართონ დასახული მიზნების მიღწევისკენ და პროცესების გაუმჯობესებისაკენ. კერძოდ, ისინი იცნობენ კონკრეტულ საკვანძო საკითხებს, რაც განაპირობებს ამ ინდიკატორის დაკმაყოფილებას. ესენია მაგალითად, წლის მანძილზე დაგროვებული გამოცდილება, ამ გამოცდილების გათვალისწინებით გასაზიარებელი გამოცდილება სასკოლო საზოგადოებაში, ახალი წლის დაგეგმვისას გასათვალისწინებელი ასპექტები ადმინისტრაციის, მასწავლებელის, მოსწავლის და მშობლის დონეზე და ა.შ.

   **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

   საგნობრივი კურიკულუმების განვითარება ეფუძნება მასწავლებელთა მიერ სასწავლო წლის განმავლობაში მიღებულ გამოცდილებას, თვითრეფლექსიას, მიგნებებსა და შეფასების შედეგებს. იგეგმება კურიკულუმების განვითარებაზე მუშაობა

კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით. რევიზირებულ ვერსიაში გათვალისწინებული იქნება წინარე გამოცდილება, მონიტორინგისა და შეფასების შედეგები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრებს აქვთ მზაობა, კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში ჩართული იყოს ყველა მასწავლებელი. ამასთან, მათ გაცნობიერებული აქვთ, რომ მნიშვნელოვანია, სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახოს მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები და ა.შ.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;**
- **სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026;**
- **საგნობრივი პროგრამების კურიკულუმის ჩარჩოები საფეხურების მიხედვით;**
- **კათედრის ოქმები;**
- **პირველი სემესტრის კათედრის შემაჯამებელი ოქმები;**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

საგნობროვი კურიკულუმების ჩარჩოები;
განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები;
შემაჯამებლის ანალიზები;
კომპლექსური დავალებები;
საკლასო/სასკოლო პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია;
კათედრის ოქმები;
შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი;
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

თარიღი 01 ივნისი 2026 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი მ. ჯანაშვილი

მათემატიკა:

უცხო ენა:

კომპიუტერული ტექნოლოგიები:

ესთეტიკური აღზრდა:

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:

დაწყებითი საფეხური:

სპორტი:

სხელმწიფო ენა: